# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 31 ივლისი 2007 №174 (3097) ფასი 50 თეთრი

## შოთა არველაძე ამსტერდამში ცუდი პასუხით ჩადის: საოპერაციოა!



## ქუთაისო ჩვენო... ქართულ ფეხბურთს ტორპედო უკვდება!

### ბოლო ვადა 3 აგვისტოა






# საოჯახო ტრანსფერი

## ბოისამ რუსეთი და სპარტაკ-პრიმორიე გადაწყვიტა

იტალიურ „სიენაში“ ორწლიანი თამაშის შემდეგ საქართველოს ნაკრების ფორვარდი ვლადიმერ ბოისა კარიერას რუსულ „სპარტაკ-პრიმორიეში“ გააგრძელებს.

ჩვენი ეროვნული გუნდი 18 აგვისტოს შეიკრიბა, თუმც ბოისა ნაკრებში ჯერ არ გამოჩენილა, ის კლუბის ძიებაში იყო და ესეც რომ არა, პირადი საქმეები ოჯახის დატოვების საშუალებას არ აძლევდა. ვოვას სლოვენიელი მეუღლე ჰყავს, რომელიც მეორე ბავშვს ელოდება და...

სერია A-დან რუსეთის დასალიერის გუნდში გადასვლა ეგებ მისაღები არ იყოს სხვისთვის, მაგრამ ბოისას იქ წასასვლელად ფრიადი საფუძველი აქვს. მას თავისუფლად შეეძლო, ევროლიგის გუნდში გადასვლა, გორდონ ჰერბერტის „არისი“ გამზადებულ კონტრაქტს სთავაზობდა, მაგრამ...

„შეიძლება ბევრმა იუკადრისოს იტალიიდან რუსეთის უკიდურესი აღმოსავლეთის გუნდში გადასვლა, მაგრამ მე ეს ნაბიჯი ჩემი ოჯახის გამო გადავდგი — ამბობს ბოისა, რომელსაც გუშინ სლოვენიაში შევეხმიანეთ და მის ვრცელ ინტერვიუს ხვალინდელ „სარბიელში“ შემოგთავაზებთ — „სპარტაკმა“ ისეთი პირობები შემომთავაზა, უკეთესს ვერც ვინატრებდი. ჯერ ერთი, სხვა კლუბებზე სამჯერ მეტ ხელფასს გადამიხდის, თანაც ჩემი ოჯახისთვის, რომელიც სულ რამდენიმე დღეში ერთი წევრითაც შეივსება, მოსკოვში ცხოვრება უფრო მისაღები იყო. დიახ, მოსკოვში ვიცხოვრებ, მთელი სეზონის განმავლობაში პრიმორიეში ალბათ თვენახევარს გავატარებ, როცა საშინაო თამაშები გვექნება. რუსეთის ჩემპიონატის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ პრიმორიე საშინაო თამაშებს მიყოლებით ერთად ატარებს, ხოლო გასვლითი მატჩებისას მოსკოვშია დაბანაკებული. ეს პრიმორიეს სიშორის გამოა, რათა „სპარტაკს“ ყოველ კვირაში რუსეთის ერთი თავიდან მეორეში მგზავრობამ არ მოუწიოს. მეც ბინას მოსკოვში მაძლევენ“.

მაშ ასე, ვლადიმერ ბოისა მომავალ სეზონს ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს, რუსულ ლიგაში გატარებს. მისი კონტრაქტი ერთწლიანია და როგორც თავად ამბობს, თუ არ მოეწონა „სპარტაკში“ თამაში, მომავალი სეზონიდან ნამდვილ ევროპას დაუბრუნდება.

**ირაკლი ბერტაია**

ვლადიმერ ბოისა ცოლ-შვილთან, ალიონკასთან და ნაიასთან ერთად



გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სფფ-ის აღმასკომის სხდომა გაიმართა, რომელიც დაახლოებით ხუთი საათი გაგრძელდა. მოახლოებული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგების, ასევე საქართველოს თასის გათამაშების დებულებისა და კალენდრის დამტკიცება — მთავარი საკითხები სწორედ ეს იყო. უმაღლესი ლიგის კალენდარი 14-გუნდიან ჩემპიონატს ითვალისწინებს. მაგრამ ვაი, რომ დღესაც გაურკვეველია ერთი გუნდის (თანაც, როგორი ტრადიციის), ქუთაისის „ტორპედოს“ ამბავი — ითამაშებს თუ არა იმერეთის მთავარქალაქის კლუბი უმაღლესში, პარასკევს გახდება ცნობილი... უფრო ზუსტად სხდომის დასრულების შემდეგ პრესკონფერენციაზე გვითხრეს ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ და პროფლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა...



# რა ეშველება ტორპედოს?
## ფედერაცია შეუვალია: თავს არ მოვიტყუებთ!

*ნოდარ ახალკაცი:* უმაღლესი ლიგის პირველი წრის კალენდარი შევადგინეთ, მეორე წრე კი, სავარაუდოდ, 17 თებერვალს დაიწყება და სეზონი 26 მაისს თასის ფინალით დასრულდება. საქმე ისაა, რომ მეორე წრის კალენდარში რაღაც დეტალებია შესაცვლელი...

-უმაღლეს ლიგაში ითამაშებს ცხინვალის „სპარტაკი“, რომელიც საშინაო მატჩებს გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე გამართავს...

-ღიადაა ქუთაისის „ტორპედოს“ საკითხი, კლუბს ფინანსური გარანტიების წარმოსადგენად 3 აგვისტომდე მიეცა ვადა და თუ ვერ წარმოადგინა, პირველ ლიგაში მოუწევს დაქვეითება. მესმის, შეიძლება მძიმე გადაწყვეტილება მივიღოთ, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა დღესაც ვერ გვეუბნება საიმედოს...

-„ტორპედოს“ მსგავსად, პირველლიგელ „რაჭასაც“ 3 აგვისტომდე აქვს ფინანსური გარანტიების წარდგენის ვადა. რეგიონალლიგაში დაქვეითდა ტყიბულის „მეშახტე“, რომელსაც წინა ჩემპიონატიდან მოყოლებული დავალიანება ჰქონდა. რეგიონალლიგაში გამარჯვებულმა სოხუმის „ცხუმმა“ კი თავად განაცხადა უარი პირველ ლიგაში თამაშზე...

...პირველ ლიგაში კი დავუშვით საჩხერის „ჩიხურა“, ფოთის „კოლხეთი“ და მარტვილის „მერანი“...

...აღმასკომმა განიხილა სამედიცინო კომიტეტის შექმნის საკითხიც, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში და ასევე, სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში დონის ამაღლებას ხელს შეუწყობს...

...2008-2009 წლების სეზონისთვის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით უნდა დამტკიცდეს ახალი ინფრასტრუქტურული კრიტერიუმები ჩვენი ჩემპიონატისთვის...

— ქუთაისის „ტორპედო“ ტრადიციებით მეორე გუნდია საქართველოში და რაიმე შეღავათს ხომ არ დაუშვებთ მისთვის?

*ნოდარ ახალკაცი:* „ტორპედოს“ საკითხზე პროფლიგის გამგეობამ უკვე იმსჯელა. ორი წლის წინ ფოთის „კოლხეთიც“ მსგავს დღეში იყო, გუნდი რეგიონალლიგაში გავარდა, მაგრამ ამით ფოთში ფეხბურთი არ მომკვდარა. მათ ნულიდან დაიწყეს და ახლა ადგილობრივი ფეხბურთელებით გადმოვიდნენ პირველ ლიგაში. ისე გამოდის, „ტორპედოს“ ბედზე ფედერაცია, პროფლიგა და მასმედია ზრუნავს ყველაზე მეტად, კლუბის ხელმძღვანელობა კი პასუხს ვერ გვეუბნება, ვინ იქნება კლუბის მართვაზე პასუხისმგებელი.

*გოგი ქავთარაძე:* ჩვენ რომ „ტორპედო“ ასე შეუმოწმებლად დავუშვათ, თავის მოტყუება გამოგვივა. გავითვალისწინეთ კლუბის ტრადიციები და ამიტომაც მივეცით ვადა პარასკევამდე, 3 აგვისტომდე.

— „ტორპედომ“ თუ გარანტია ვერ წარმოადგინა, მას სხვა ჩაენაცვლება?

*ნოდარ ახალკაცი:* იმედია, „ტორპედო“ სასიკეთოდ მოაგვარებს საკითხს. ამიტომაც ვიცდით. შეიძლება, 13-გუნდიანი ჩემპიონატი ჩავატაროთ — ამასაც არ გამოვრიცხავ.

*პაატა ბურჯალიანი:* „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა ყოველდღე გვეხმიანება, რაღაც იმედი აქვთ და ღმერთმა ქნას...

...აქვე ვიტყვი სტადიონების მდგომარეობაზეც: გორში, სამტრედიასა და ზუგდიდში ძალიან კარგი მდგომარეობაა, რუსთავმა კი სულაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს უმასპინძლა. ზუგდიდში გუშინ დასრულდა 5000-იან სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება, გორის სარბიელს კი ვერ იცნობთ, ისეა გალამაზებული.

*დაბოლოს, 1 აგვისტოს საქართველოს თასის კენჭისყრა გაიმართება.*

*მთავარიც: 4 აგვისტოს 12 საათზე აღმასკომი კიდევ ერთხელ შეიკრიბება — ამ დროს უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული იქნება უმაღლესი და პირველი ლიგები.*

**ილია ნანობაშვილი**

# ბოლნისის სიონიდან ვიცე-პრეზიდენტი წავიდა!
## ვინ მიჰყვება დავით სილაგაძეს?

**ბოლნისის** „სიონი“ ვიცე-პრეზიდენტმა დავით სილაგაძემ დატოვა. სილაგაძე ის კაცია, რომელიც ორი წლის წინ მივიდა ქვემოქართლური კლუბის ხელმძღვანელობაში. მაშინ „სიონმა“ სუსტი შემადგენლობით ძლივს შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში, მაგრამ მეორე წელს, ანუ შარშან, გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა.

სილაგაძემ, რომელიც ფედერაციის აღმასკომის წევრია, თავად გვითხრა, სავარაუდოდ, სხვა ქართული კლუბის ხელმძღვანელობაში გადავალო, თუმც მეტი აღარ დაუკონკრეტებია.



და კიდევ: არა მარტო სილაგაძემ, „სიონი“ შეიძლება კლუბის სხვა მესვეურებმაც დატოვონ...

**ილია ნანობაშვილი**

# ზავი ზღვაზე

**ურეკში** შეკრებაზე მყოფი ბოლნისის „სიონი“ „ბათუმს“ ესტუმრა და საკონტროლო მატჩი გამართა, რომელიც 1:1 დასრულდა. ანგარიში ბოლნისელმა ბექა კვიციანმა გახსნა, მეორე ტაიმში კი არჩილ ბაჯელიძემ გაათანაბრა.

ზღვისპირეთში მყოფი „სიონისთვის“ ეს ბოლო საკონტროლო მატჩი იყო და გუნდი დღეს ბოლნისში დაბრუნდება. შიდაქართლელებთან ახალი ისაა, რომ ტრანსფერზე დააყენეს გიორგი კვიტაიშვილი და გასტონ ევოჩე.

დამატებით კი, „სიონი“, სავარაუდოდ, ვალერი გაგუას დაიმატებს, ვისაც ცხინვალის „სპარტაკიც“ ეპატიჟებოდა.

ეს მატჩი კი გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს:

***ბათუმი:*** *თოთლაძე (მამინაშვილი), კუნჭულია (ა. ბაჯელიძე), ძამსაშვილი, თედორაძე, მაკარიანი (ვალოგრე), ბაბუნაშვილი, ნერგაძე, კ. მახარაძე (ბეჟანიძე), თურმანიძე, დარჩიძე, მოდებაძე.*

***სიონი:*** *ბობღიაშვილი, სვანიძე, ლ. ჭელიძე, ფრიდოლინი, რაქვიაშვილი, ბუცხრიკიძე, თავბერიძე, ლ. ბაჯელიძე, კვიციანი, რეხვიაშვილი, ქარდავა.*

*შეცვლაზე შევიდნენ: გ. იაშვილი, მენთეშაშვილი, პაპუაშვილი.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზღვისპირელები ფერზე მოვიდნენ

**იმ** მდგომარეობის კვალობაზე, რაც „ბათუმს“ სამიოდ კვირის წინ ჰქონდა, გუნდს ნორმალური შემადგენლობა ჰყავს. მაშინ ისიც საკითხავი იყო, მიიღებდა თუ არა „ბათუმი“ ჩემპიონატში მონაწილეობას, მაგრამ კლუბმა თანხა გამონახა.

ზღვისპირელები „ადელის“ სტადიონზე ითამაშებენ, ქობულეთის სარბიელის ვარიანტი კი უხარისხო მინდვრის გამო გამოირიცხა. „ბათუმის“ თავკაცმა ამირან გოგიტიძემ გვითხრა, ორ წელიწადში ბათუმში კოხტა ევროსტანდარტული სტადიონი გვექნებაო — ცხადია, სახელმწიფოს ხარჯებით აშენებული...

„ბათუმს“ დაუბრუნდა მეკარე ირაკლი თოთლაძე, ვისაც თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა. კიდევ ერთი მეკარე, დავით მამინაშვილი ამ გუნდის ყოფილი მეკარის, იური მამინაშვილის შვილია — ისინი რუსეთში ცხოვრობდნენ, ახლა კი თვითონ იური მამინაშვილი „ბათუმის“ მეკარეების მწვრთნელად იმუშავებს.

გოგიტიძის გუნდში არიან გიორგი ნერგაძე, შოთა ბაბუნაშვილი, გიორგი თურმანიძე, რუსთავის „ოლიმპიდან“ წამოსული ზურაბ ძამსაშვილი და თბილისის „მერანიდან“ გიორგი მოდებაძე — ირაკლი მოდებაძის ძმა, რომელიც ადრე ლატვიურ „ვენტსპილსში“ ირიცხებოდა.

ამასთან, გოგიტიძემ გვითხრა, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელ დუშან უჰრინისგან ველით პასუხს და დიდი შანსია, მცველმა უჩა ლობჟანიძემ განათხოვრებით ისევ ჩვენთან ითამაშოსო.

**ილია ნანობაშვილი**

# ზესტაფონმა ტაჯიკეთის ჩემპიონი დაუმარცხა

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და ტაჯიკეთის ჩემპიონი, ტურსუნზადეს „რეგარ-ტადაზი“ 2:0 დაამარცხა.

გოლები ნიკა კვასხვაძემ (გოგი ფიფიას პასით) და პოლ კესანიმ (ალექსი ბენაშვილის პასით) გაიტანეს.

„ზესტაფონმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ჭანტურია (რ. კვასხვაძე 46), ს. თოდუა, საჯაია, შ. ღონღაძე (ჯიშკარიანი 46), ვიეირა (ქორიძე 56), კ. ჩხეტიანი (ხიდეშელი 46), რ. ონიანი, კესანი, ნ. კვასხვაძე (ბენაშვილი 46), იონანიძე (გ. ჩხეტიანი 46), ფიფია.*

**ბახა ფალამბერიძე**

### საფრანგეთი
მეორე დივიზიონი. პირველი ტური
ნანტი 5:0 რეიმსი

### დანია
სუპერლიგა. III ტური
ესბიერგი 2:2 ორჰუსი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. II ტური
რეაკ 2:0 ვაშაში
ფეჰერვარი 1:1 კაპოშვარი

### ნორვეგია
ტიპელიგა. XV
ლინი 0:0 ფრედრიკსტადი

### პერუ
კლაუსურა. II ტური
ალიანსა 0:0 ატლეტიკო

### ამხანაგური მატჩები
ალტრინჰემი 0:1 ტრანმერი
კორკი 1:1 სანდერლენდი
ნოტსი 1:2 ნოტინგემი
ოქსფორდი 1:2 ლუთონი

### შვედეთი
ალსვენსკა. გადადებული მატჩები
ჰალმსტადი 2:2 გაის
კალმარი 0:1 გეფლე

სუპერეტა. XVI ტური
ფალკენბერგი 2:0 ენჩიოპინგი
ლანდსკრონა 2:4 მიალბი
ნორჩიოპინგი 2:0 ლიუნგსკილე
იორგრიტე 0:0 იონკოპინგი
სირიუსი 3:2 დეგერფორსი
სუნდსვალი 2:0 ატვიდაბერგი

# შეუძლებელი არაფერია!

## დიმიტრი ტატანაშვილი: ბელხატუვის დაუმარცხებლისა ვერაფერი შევატყვე

„ამერის“ თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია. 2 აგვისტოს „ამერს“ უეფას თასის საპასუხო მატჩი ელის პოლონურ „ბელხატუვთან“ (პირველ შეხვედრაში პოლონელებმა 2:0 იმარჯვეს) და ამერელებსაც დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ — სულ მცირე, ორი ბურთი უნდა გაიტანონ, ასე რომ, თავდამსხმელებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული...


თენგიზ ჩიკვილაძე და დიმიტრი ტატანაშვილი

— როგორ ფიქრობ, რატომ დამარცხდა „ამერი“ პოლონეთში?

— „ბელხატუვმა“ თავისი მომენტები მაქსიმალურად გამოიყენა — ორივე ბურთი სტანდარტული მდგომარეობიდან გაგვიტანა. გატანა ჩვენც შეგვეძლო, მე და რევაზ გოცირიძეს გვქონდა შანსი და, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. მთლიანობაში, თანაბარი თამაში იყო და ორი ბურთით მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით.

— სასტარტო შემადგენლობაში რატომ არ იყავი? რამე ხომ არ გაწუხებდა?

— არა, უბრალოდ, მწვრთნელმა ასე ჩათვალა საჭიროდ.

— „ბელხატუვის“ სხვა მატჩების ფირსაც ნახავდით და როგორი წარმოდგენაც გქონდათ, ისეთი გუნდია?

— ზუსტად ისეთი ფეხბურთი ითამაშეს ჩვენთან, როგორსაც ველოდით. არაფერი განსაკუთრებული არ უჩვენებიათ. უბრალოდ, სწორ, დალაგებულ ფეხბურთს თამაშობენ.

— როგორ ფიქრობ, „ბელხატუვი“ თბილისში დაცვაზე გააკეთებს აქცენტს?

— არა მგონია, დაცვაში ჩაიკეტოს. რაც იციან, იმ ფეხბურთს ითამაშებენ, ალბათ უფრო კონტრშეტევაზე ააწყობენ თამაშს.

— ალბათ, გიორგი ჩიხრაძემ უკვე გაგირჩიათ მეტოქის პლუს-მინუსები...

— დიახ, თუმცა მატჩისწინა შეკრებაზე რომ გადავალთ, დეტალურად იქ გავარჩევთ ყველაფერს.

— როგორ ფიქრობ, „ამერს“ შესწევს ძალა, ორბურთიანი სხვაობა გააბათილოს და მომდევნო ეტაპზე გავიდეს?

— ძალიან ძნელი იქნება, თუმცა „ამერი“ ყველაფერს გააკეთებს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. თუ ყველა მაქსიმალურად მობილიზებულნი ვიქნებით, „ბელხატუვის“ სასურველი ანგარიშით დამარცხება სულაც არ არის შეუძლებელი.

— აქამდე თითქმის სულ შეცვლაზე შედიოდი და გოლებიც გაქონდა. აღარ დადგა სასტარტოში თამაშის დრო?

— ტრავმები ბევრს მაცდენინებდა ხოლმე და მოუმზადებლობის გამო შეცვლაზე მიწევდა თამაში — 90 წუთის სათამაშოდ არ ვიყავი მზად. ახალი სეზონისთვის კი სრულფასოვნად მოვემზადე და სულაც არ ვაპირებ, სკამს შევეგუო.

**ნუკრი ლოლაძე**

# ამერს გასული სეზონი დაუფასდა

**გუშინ** საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ მე-18 ეროვნული ჩემპიონატის მესამეადგილოსანი „ამერი“ ბრინჯაოს მედლებით დააჯილდოვა.

მოკრძალებული ცერემონიალი „მიხეილ მესხის“ სტადიონზე ჩატარდა, იქ, სადაც ამერელები პოლონურ „ბელხატუვთან“ საუეფასთასო მატჩისთვის ემზადებიან.

აქამდე პროფლიგას დაჯილდოვებული ჰყავდა ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპიც“ და მეორეადგილოსანი თბილისის „დინამოც“.


„ამერის“ მეკარე ზურაბ ქვაჩახია და პროფლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჭალიანი


თანაგუნდელებს მედლები კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ ჩამოურიგა

# თბილისი-სტამბოლი-ციურიხი-ვადუცი
## ვინ უმსაჯებს დინამოს და ამერს

**დღეს**, დილის 5 საათზე სტამბოლის გავლით ციურიხში გაფრინდა თბილისის „დინამო“. 13 საათისთვის დინამოელები უკვე ვადუცში იქნებიან და იქვე გააგრძელებენ მასპინძლებთან უეფას თასის საპასუხო მატჩისთვის მზადებას.

შეგახსენებთ: პირველ მატჩში ჩვენებმა 2:0 იმარჯვეს.

„დინამოს“ პრესსამსახურის ცნობით, გუნდი „ვადუცის“ სტადიონთან მდებარე სასტუმრო „რეზიდენტში“ დაბინავდება, დღეს საღამოს 6 საათზე კი ივარჯიშებს.

დუშან უჰრინი შეგირდებს ხვალ 19.30 საათზე ავარჯიშებს, 2 აგვისტოს კი უკვე მატჩია: „ვადუცი“ — „დინამო“ ჩვენი დროით, 20.30 საათზე დაიწყება.

და ერთიც: გაირკვნენ „ვადუცი“ — „დინამოსა“ და „ამერი“ — „ბელხატუვის“ მატჩების მსაჯ-დელეგატები. დინამოელებს ხორვატი მსაჯები ეყოლებათ: ანტე მუცემილოვიჩ-სიმუნოვიჩი, ტომისლავ სეტკა, პრედრაგ ბოროვეცი და დრაჟენკო კოვაჩიჩი.

დელეგატი ფინელია — ესა ენტერო პალსი.

ამერელებს კი პოლონელებთან ყაზახები უმსაჯებენ: იგორ კისტერი, ნურჟან დოსკოევი, ევგენი ბელსკი და აკმალხან ხოლმატოვი.

დელეგატი კვიპროსელია — ანდრეას გეორგიუ.

**კახა შალამბერიძე**


უეფას თასი 2007-2008
პირველი შესარჩევი ეტაპი
საპასუხო მატჩი
თბილისი, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი
ამერი
თბილისი
საქართველო
ბელხატუვი
ბელხატუვი
პოლონეთი
2 აგვისტო
დასაწყისი 18:45
სარბიელი saro Saro CROCO PROGETRA
www.fcameri.ge

დღეიდან გულშემატკივრებს საშუალება აქვთ შეიძინონ „ამერი“ — „ბელხატუვის“ უეფას თასის პირველი შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩის ბილეთები და პროგრამა.
ბილეთების ფასია 2, 5, 10 და 20 ლარი, ხოლო მატჩის პროგრამა 1 ლარი ღირს. ბილეთები და პროგრამა იყიდება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში.


**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

1 აგვისტოს 14 საათზე, მცხეთაში, სასტუმრო „მცხეთა პალასში“ გაიმართება ფკ ამერის პრესკონფერენცია. ამავე პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებისთვის დარიგდება უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ამერი“ — „ბელხატუვის“ მატჩის აკრედიტაციები.

# არველაძე ამსტერდამში ცუდი პასუხით ჩადის: საოპერაციოა!



**შოთა არველაძეს** რომ მუხლი აწუხებს, გუშინაც ვწერდით.

ტკივილი არა და არ ჩაცხრა და უახლოეს დღეებში ესპანური „ლევანტეს" ქართველი ახალწვეული ამსტერდამში ჩავა ოპერაციის გასაკეთებლად.

34 წლის ბომბარდირს ოპერაციის შემდეგ დაახლოებით ერთი თვე დასჭირდება აღდგენითი პერიოდისთვის.

ასე რომ, არველაძე პრიმერადივიზიონის საწყის ტურებს გამოტოვებს.

ილია ნანობაშვილი

# ასათიანი ტრიბუნაზე და მინდორზე

**მალხაზ ასათიანის** თემა რუსულ პრესაში ძალიან აქტუალურია. ჟურნალისტების გარდა „ასკა" გულშემატკივრებშიც უზომოდ პოპულარულია — მოსკოვის „დინამოსთან" მატჩისას ტრიბუნებზე გამოჩნდა პლაკატი, რომელზეც ჩვენებური იყო გამოსახული, თუმც გულშემატკივრებმა მათი საყვარელი ფეხბურთელის მოედანზე ხილვა მხოლოდ 13 წუთი შეძლეს.

ნამატჩევს შედეგით უკმაყოფილო ასათიანი მოედანს განაწყენებული ტოვებდა...

„მინდა, ბოდიში მოვუხადო გულშემატკივრებს „ლოკომოტივის" ასეთი ცუდი თამაშისთვის. გუნდი უკეთეს თამაშს და შედეგს იმსახურებს. დაცვაში უყურადღებოდ ვირჯებით და აქედან მოდის შეცდომები. უკვე დროა, მოვიგოთ. რაღაც უნდა შევცვალოთ და ამის გაკეთებას შევეცდებით. „ლოკოს" წარუმატებლობა ყველა ჩვენი ქომაგისთვის საწყენია" — განუცხადა ასათიანმა „სპორტ-ექსპრესს".

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ნემსაძემ ცხინვალი დატოვა!

**ცხინვალის** „სპარტაკის" უმაღლესლიგელობას, როგორც იქნა, დაადგა საშველი — გუშინ ეს აღმასკომმა ოფიციალურად დაამტკიცა, ხვალ კი კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი გორში ამხანაგურ მატჩს გამართავს პირველლიგელ აგარის „მეშაქრესთან".

და ერთი ახალი ამბავიც: როგორც შევიტყვეთ, კლუბი დატოვა ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ნემსაძემ და არც ისაა გამორიცხული, „სპარტაკში" კიდევ მოხდეს გარკვეული ცვლილებები.

ნუკრი ლოლაძე

# ტრაბზონმა იუბილეზე საქართველო დაპატიჟა

## პეტარ სეგრტი თურქეთში შესუსტებულ გუნდს ჩაიყვანს

**4 აგვისტოს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თურქულ „ტრაბზონსპორს" ამხანაგურად გაეჯიბრება. ამ დღეს „ტრაბზონს" 40 წლის იუბილე აქვს და ამას ქართველებთან თამაშით აღნიშნავს. ამასთან „ტრაბზონი" მალე თურქეთის ჩემპიონატშიც ჩაებმება და პეტარ სეგრტის ბიჭებთან თამაშს მოსამზადებელ ეტაპად გამოიყენებს.

რამდენად მისაღები იქნება თურქული მხარისთვის ქართველებთან თამაში, თავად იციან, რადგან სეგრტი ნაკრებს შესუსტებული შემადგენლობით ჩაიყვანს — არ იქნებიან ლეგიონერები და „დინამოსა" და „ამერის" ფეხბურთელები, რომლებიც უეფას თასზე თამაშობენ.

21-წლამდელთა ნაკრები თურქეთში 2 აგვისტოს გაემგზავრება, 4-ში კი „ავნიაქერზე" ითამაშებს.

მიხეილ ჟორჟოლიანი



ლაშა ნოზაძე

# ყაზახური ამბები

## ნოზაძე უკვე გამოჩნდა, მეგრელაძე გამოჩნდება

**გასულ** უქმეებზე ყაზახური გუნდების, „ქეტისუსა" და „შახტიორის" 18-კაციან განაცხადებში ორი ქართველი ფეხბურთელის გვარი გამოჩნდა — ლაშა ნოზაძე და გიორგი მეგრელაძე. მათგან დებიუტი მხოლოდ ნოზაძეს ჰქონდა.

ნოზაძე ყარაგანდულ კლუბში თბილისის „დინამოშ" ერთწლიანი იჯარით გაანათხოვრა.

ქართველი ფეხბურთელის დებიუტი ფეხბედნიერი ვერ გამოდგა — „შახტიორმა" 0:2 წააგო „ირტიშთან", თუმც ეს ანგარიში ტაბლოზე უკვე ენთო, როდესაც ფინელმა მწვრთნელმა იუჰა მალინენმა ჩვენებური მოედანზე შეუშვა — ნოზაძემ პირველი ტაიმის მიწურულს შეცვალა თანაგუნდელი.

„ოკჟეტპესთან" მატჩში კი ქეტისუელი გიორგი მეგრელაძე სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

„მეგრელაძეს ჯერ გუნდთან შეწყობა სჭირდება — სულ სამი დღეა, რაც ჩვენთანაა" — განაცხადა გუნდის თავკაცმა ვლადიმირ ლინჩევსკიმ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ზურაბ მენთეშაშვილი ლიგას და წინადადებებს ელის



**ზურაბ მენთეშაშვილის ლატვიურმა „ვენტსპილსმა" უელსური „ნიუ საინტსის" ბარიერი ძლივს გადალახა და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ავსტრიის „ზალცბურგს" შეხვდება. 27 წლის ქართველ საყრდენ ნახევარმცველს „ვენტსპილსში" თავიდან ვერ წაუვიდა საქმეები კარგად, მწვრთნელი რომან გრიგორჩუკი რატომღაც არ ათამაშებდა, ახლა კი ზურაბი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა...**

— „ნიუ საინტსთან" ორივე თამაშს ეტყობოდა, რომ მათზე უკეთესი გუნდი ვართ. სტუმრადაც ვაჯობეთ, მაგრამ მინიმალურ ანგარიშით წავაგეთ, შინ კი უფრო დიდი უპირატესობა გვქონდა და სასურველი ანგარიშით მოვიგეთ. უბრალოდ, საგოლე მომენტებს ვერ ვიყენებდით, თორემ უფრო იოლადაც გავიდოდით — გვითხრა მენთეშაშვილმა, გუშინ ლატვიაში რომ დავუკავშირდით.

— „ზალცბურგი" გაცილებით ძლიერია. კლუბის ხელმძღვანელობას თუ ეიმედება ამ ეტაპის გავლის?

— შანსი ყველასთანაა, მაგრამ „ზალცბურგი" წყვილის ფავორიტიც რომ არის, ამას თქმაც არ უნდა. ხელმძღვანელობა ამ მატჩებზე ჯერ არ ლაპარაკობს, მაგრამ, წესით, უიმედოდ არ უნდა იყვნენ.

— ამასობაში, ლატვიის ჩემპიონობა თითქმის დაკარგეთ...

— კი, „მეტალურგს" ვეღარ დავეწევით, ჩემპიონობა ჩავლილი ამბავია.

— თავიდან „ვენტსპილსის" მწვრთნელი ძირითადში იშვიათად გაყენებდა და ნაწყენიც იყავი...

— ყველაფერი მოგვარდა. ახლა ძირითადში ვარ, ინსაიდის პოზიციაზე, ოდნავ მარცხნიდან ვთამაშობ.

— „ვენტსპილსთან" კონტრაქტი წლის ბოლომდე გაქვს და ამ ზაფხულს ხომ არ აპირებ კლუბის შეცვლას?

— არ ვიცი, ენახოთ. რეალური წინადადებები ჯერ არ მაქვს...

ილია ნანობაშვილი

# სად მიდიხართ, სად?!

## აზერბაიჯანი ქართველებით ივსება

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატი სამი ქართველი ფეხბურთელით შეივსება. როგორც შევიტყვეთ, ჩვენს სამეზობლოში ითამაშებენ თორნიკე აფციაური, ზურაბ ბათიაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე.

თორნიკე აფციაურს რუსთავის „ოლიმპიდან" წამოსვლის შემდეგ მოლაპარაკებები „ხესტაფონთან" ჰქონდა, მაგრამ იმერულ კლუბს ვერ შეუთანხმდა და აზერბაიჯანში თამაში არჩია. აფციაური „გილანში" ითამაშებს — კონტრაქტის ხანგრძლივობა უცნობია.

აზერბაიჯანის დებიუტანტ „სტანდარტში" გადავიდა მეკარე ბათიაშვილი, რომელიც ბოლნისის „სიონიდან" წასვლის შემდეგ არსად გამოჩენილა.

ბათიაშვილის თანაგუნდელი გახდება ასევე ექსბოლნისელი უგრეხელიძეც, თუმც მისი საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გაფორმდება, რაც „სიონი" საკომპენსაციო თანხას მიიღებს. ეს კი უახლოეს დღეებში მოგვარდებაო, ირწმუნება ორივე მხარე.

მიხეილ ჟორჟოლიანი



თორნიკე აფციაური



ზურაბ ბათიაშვილი



ვლადიმერ უგრეხელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კი მაგრამ, ვალი?!
## ღარიბი მულტიმილიონერი




**ხომ** იცით, ფრედი შეპერდი ვინც არის? ეს გახლავთ 65 წლის ნიუკასლელი კაცი, რომელიც გასულ კვირაში ამ ქალაქის კლუბის „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან მოხსნეს. ამ თანამდებობაზე მისტერ შეპერდი ბოლო ათი წლის განმავლობაში მუშაობდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, კლუბის ახალ მეპატრონეებს, კერძოდ კი, მთლად მთავარს, მაიკ ეშლის თავი ვერ მოაწონა — მით უფრო, რომ ბოლო პერიოდში ჯანმრთელობაც შეერყა — და უმუშევრად დარჩა.

მაგრამ, ამჯერად, ფრედი შეპერდის მოღვაწეობაზე არ გვინდა თქვენი ყურადღების შეჩერება. ამჯერად, მის ბოლო გამონათქვამს გამოვიტანთ თქვენს სამსჯავროზე — მაიკლ ოუენი „ნიუკასლ იუნაიტედთან“ ვალშიაო, ბრძანა „კაჭკაჭთა“ კლუბისთვის ლამის შეწირულმა ადამიანმა.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ შეპერდმა ოუენში მადრიდის „რეალს“ 15 მილიონი გირვანქა გადაუხადა, მაგრამ თავდამსხმელს ტრავმებმა დარია ხელი და ამ ორი სეზონის მანძილზე სულ 13 შეხვედრაში შეძლო მოედანზე თავიდანვე გასვლა, გოლი კი მხოლოდ და მხოლოდ 7 გაიტანა.

„მაიკლ ოუენს ამ კლუბისა ძალიან ბევრი მართებს, რაზეც პირდაპირ და მოურიდებლად შემიძლია ვილაპარაკო. რაც „ნიუკასლშია“, ოუენმა, მგონი, ინგლისის ნაკრების მაისურით უფრო მეტჯერ ითამაშა, ვიდრე კლუბის მაისურით, ასე რომ, ვფიქრობ, ფანებთან ანგარიში აქვს გასასწორებელი“.

შეგახსენებთ მაიკლ ოუენის პრობლემებს — „ნიუკასლში“ გადასვლიდან ცოტა ხანში თავდამსხმელმა ფეხი მოიტეხა, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი მუხლის სერიოზული ტრავმაც დაერთო ზედ.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის გამო „ნიუკასლ იუნაიტედმა“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისგან კომპენსაციის სახით 4 მილიონი გირვანქა მიიღო, მაგრამ ოუენისა და მისტერ შეპერდის ურთიერთობები გაფუჭდა.

მაისში შეპერდმა ოუენის წარმომადგენლებს ბრალი ფეხბურთელის „ნიუკასლიდან“ გატაცების თუ გაპარების გეგმის შედგენაში დასდო, შემდეგ კი ამ ჭარმაგმა ადამიანმა „ლივერპულის“ ფანებისთვის ინტერნეტში მუქარის გავრცელებაც არ ითაკილა: „ენფილდზე“ ოუენი მოგინდათ? ჩამოგიტანთ.

ნუ, „ჩამოგიტანთ“ და „ჩამოგიყვანთ“-ს შორის რა განსხვავებაცაა, თავად მოგეხსენებათ.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ფრედი შეპერდი აწ უკვე გაგდებულია თანამდებობიდან.

„ახლა მილიარდერების დროა. ჩემსავით მულტიმილიონერები პრემიერლიგის კლუბებს ველარ მართავენ — მწარედ თქვა ბიზნესმენმა ჟურნალისტებთან საუბარში და დასძინა — სამწუხაროდ, ამასთან ველარ ვიომებ, ჩემი ჯანმრთელობა ძლიერ არის შერყეული“.

**ბაჩუნა ძიძია**

# არსენ ვენგერი: მე პას!




**არსენ ვენგერმა** მთელი ინგლისის გასაგონად განაცხადა, რომ „არსენალის“ დირექტორატის კონფლიქტებში ჩარევა არ სურს, რადგან ეს კონფლიქტები მის საყვარელ კლუბს ძირს უთხრის.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ვენგერი „მეთოფეთა“ ყოფილ ვიცე-თავმჯდომარესთან, დევიდ დინთან ერთად ნახეს რესტორანში, ყოფილ ვიცე-თავმჯდომარეს კი კლუბის ახლანდელ მეპატრონეებთან შუღლი აქვს და მათგან შერისხული გახლავთ.

მიზეზი: დინს „არსენალის“ ახალ პატრონად მავანი მილიონერის სტენ კრონკის მიყვანა სურდა.

მოგეხსენებათ, „ემირატების“ თასზე „არსენალმა“ მილანის „ინტერს“ 2:1 მოუგო და ჯილდოს დაეუფლა, რის შემდეგაც ვენგერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: „რა ხანია, „არსენალში“ ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში ერთი აქციაც არ შემიძენია, ერთხელ არ მიცდია, მეწილეებზე რაიმე გავლენა მქონოდა. მე არასოდეს მქონია სურვილი, მეპატრონეთა ომებში ჩავრეულიყავი, ასე რომ, ის, რაც ახლა კლუბის გარშემო ხდება, ჩემი პრობლემა არ არის. „არსენალში“ მე მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებული მუშაკი ვარ, რომელიც სრულიად ტექნიკურ საკითხს, გუნდის თამაშს ხელმძღვანელობს. დიახ, მე დევიდთან ერთად ვივახშმე, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კლუბის ბედს ვწყვეტდით? ჩვენ „არსენალის“ მომავალ გეგმებზე საერთოდ არ გვილაპარაკია. ერთადერთი, რაც იყო, მან მკითხა, საქმეები როგორ არის, გუნდში რა ხდებაო და სულ ეს იყო...

...მე და დევიდი „არსენალში“ ჩემს მისვლამდეც ვმეგობრობდით, ჩვენი ლონდონში ერთად მუშაობის პერიოდშიც და, ბუნებრივია, ეს ურთიერთობა ახლაც გრძელდება. ვიმეორებ, „არსენალში“ ერთად მუშაობის პერიოდში ჩვენი მეგობრობა თანამშრომლობასთანაც იყო შეზავებული, ეს არის და ეს“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ამაზე იაფად რაღა გინდა?!
## ტევეს არის ჩემი საქონელი

**„ვესტ ჰემმა“** კია ჯურაბჩიანს შეუთვალა, მე შემიძლია, კარლოს ტევესი 6 მილიონ გირვანქად მოგყიდოო. თუ ეს ფორმულირება არ მოგწონთ, ასე ვთქვათ: „ვესტ ჰემმა“ კია ჯურაბჩიანს შეუთვალა, 6 მილიონი გირვანქა გადამიხადე და ის შენი ტევესი შენთვის დაიტოვეო. კიდევ შეიძლება ათასნაირი ფორმულირების მოფიქრება, მაგრამ, მოდით, ნუ გავერთობით.

ერთი სიტყვით, პრემიერლიგის კლუბი აცხადებს, რომ ყველაზე მეტი, რითაც სომხური სისხლისა და ირანული წარმოშობის ბრაზილიელ ბიზნესმენს შეუძლია პატივი სცეს, სწორედ ეს არის — 6 მილიონი გირვანქა.

ასეთ წინადადებას ჯურაბჩიანი, ბუნებრივია, არ თანხმდება და მტყუან-მართლის გასარკვევად უმაღლესი სასამართლოსკენ მიიწევს, რაც უკვე არაფრად აწყობს „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელსაც სასამართლოებში სარბენად არ სცალია — სატრანსფერო ბაზარი 31 აგვისტოს იხურება და 23 წლის არგენტინელი თავდამსხმელის ყიდვა მანამდე უნდა მოასწროს.

ახლა იმაზე ვთქვათ, თუ საიდან მოდის ეს რიცხვი, 6 მილიონი გირვანქა — თურმე „ვესტ ჰემისთვის“ პრემიერლიგის იურისტებს უთქვამთ, ეგ არგენტინელი 5,5 მილიონზე ნაკლებ ფასად რომ გაყიდო, ახალ შარში გაეხვევიო. რატომ? იმიტომ, რომ 5,5 მილიონი გირვანქა გახლავთ ის თანხა, რომელიც ლონდონურ კლებს, თავის დროზე, ჯარიმად დააკისრეს — ტევესი შენთან რომ თამაშობს და ჯურაბჩიანის არის, ინგლისური კანონების დარღვევააო. სწორედ მაშინ გააფორმებინეს თავდამსხმელს ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი და სწორედ ის კონტრაქტია, დღეს წყალს რომ ამღვრევს — გამოდის, რომ ფეხბურთელი ერთბაშად რამდენიმე პატრონისაა, რის გამოც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ის ვერა და ვერ უყიდია.



ჯურაბჩიანი აცხადებს, რომ „ვესტ ჰემთან“ პირველადი მოლაპარაკების თანახმად, კლუბს მხოლოდ და მხოლოდ 100 ათასი ეკუთვნის, თუმცა ეს წინასწარი მოლაპარაკება პრემიერლიგამ, როგორც ვთქვით, ბათილად ჩათვალა და ლონდონელებსაც ურჩევნიათ, 6 მილიონი აიღონ, ვიდრე 100 ათასი. ყოველ შემთხვევაში, ნიშანი იმისა, რომ „ვესტ ჰემი“ ოდესღაც მიცემულ სიტყვას უფრთხილდება, არ ჩანს.

კონტრაქტის თანახმად, კარლოს ტევესი 2010 წლამდე „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელია — აქ არის რეგისტრირებული, ჯურაბჩიანი კი მასზე ეკონომიკურ უფლებებს ფლობს.

მთელი ამ დავიდარაბის მიუხედავად, „ვესტ ჰემის“ თავმჯდომარე ეგერტ მაგნუსონი იმედოვნებს, რომ კარლოს ტევესი ამ კვირაში მაინც გახდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი.

**ბაჩუნა ძიძია**

## სანამ მუქთად წავა

**„დეილი მეილის“** ცნობით, „არსენალს“ „ჩელსიდან“ ლასანა დიარას შეძენა უნდა. 22 წლის ფრანგს გასულ სეზონში ჟოზე მაურინიუ იშვიათად ათამაშებდა ძირითად შემადგენლობაში. მისი კონტრაქტი „ჩელსისთან“ 2008-ში იწურება, გახანგრძლივებას კი უარობს. თუ წლეულს ვერ გაყიდეს, მომავალ ზაფხულს მუქთად გაშვება მოუწევთ.

## ვინიალი ერთწლიანი

**„საუთჰემპტონმა“** „ლანსიდან“ მცველი გრეგორი ვინიალი ერთი წლით ითხოვა. ბრიტანეთში ადრე მას „ლივერპულში“, „რეინჯერსში“ და „პორტსმუთში“ უთამაშია.

ვინიალი ექვსი თვის წინ გადავიდა „კაიზერსლაუტერნიდან“ „ლანსში“ და მხოლოდ 9 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

## ფანების დაწუნებული

**გლაზგოს** „რეინჯერსს“ „ლანსიდან“ დანიელ კუზინის შეძენა უნდა. თვითონ ფეხბურთელიც ლამობს გუნდიდან წასვლის, რადგან ფანებმა აითვალისწუნეს. მას „ბოლტონი“, „უელვა“ და „ვალიადოლიდიც“ ეპატიჟებიან, მაგრამ გლაზგოურ კლუბში გადასვლა სურს...

„ძალიან გამიხარდა, „რეინჯერსის“ ამბავი რომ გავიგე და ერთი სული მაქვს, როდის გავაფორმებ კონტრაქტს“.

## ბოატენგს ამუხრუჭებენ

**ბერლინის** „ჰერტას“ ფორვარდი კევინ-პრინს ბოატენგი უკმაყოფილოა იმით, რომ კლუბი „ტოტენჰემში“ გადასვლას უჭიანურებს. გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშე 2006-ში ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს. ბოატენგი „ჰერტას“ მენეჯერ დიტერ ჰოინესთან მწყრალადაა და, რაც შეიძლება, მალე უნდა გუნდის დატოვება. ჰოინესი კი მის ნერვებზე თამაშობს.

ინგლისურ მედიის ცნობით, კლუბები 4 მილიონ 500 ათას გირვანქაზე შეთანხმდნენ, ხოლო ფეხბურთელი „ჰერტას“ სეზონისწინა შეკრებაზე არ წაჰყვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვის უპარჭყავ ხელებსა?!
## ამერიკელებმა დევიდ ბექემის ლანძღვაც შოუდ გადააქციეს



AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დევიდ ბექემის** ახალმა გუნდმა, ამერიკულმა „ლოს ანჯელეს გალაქსიმ", იმ თავისი ამერიკაში ისევ წააგო, რამაც მოგებებს მიჩვეული დევიდი, როგორც ჩანს, გააღიზიანა და მანაც იამაიკელ მსაჯ კურტნი კემბელთან სათადარიგოთა სკამიდან წაიყაყანა კიდეც.

ამ იამაიკამ რომ არ დაგვაბნიოს, განვმარტოთ, რომ შეჯიბრება, რომელშიც „გალაქსი" მონაწილეობს და ზედიზედ მეორე მატჩი წააგო, გახლავთ სუპერლიგა, ანუ ლიგა, სადაც აშშ-ისა და მექსიკის გუნდები გამოდიან. ბექზი, როგორც მოგახსენეთ, სათადარიგო გახლდათ, ოღონდ უყურა თამაშს, უყურა და მატჩი ბოლოსკენ რომ წავიდა, სათადარიგოთა საკმიდან წამოფრინდა — კემბელს რაღაც სისულელეები დაუსტვენია.

ჰოდა, ესეც მორიგი შოუ! როგორც ეტყობა, დევიდის ფეხბურთზე მნიშვნელოვანი, ჯერჯერობით მაინც, ამერიკაში სწორედ ასეთი რამეებია.

„გალაქსის" თავდამსხმელი ალან გორდონი:

„მე მის გვერდით ვიჯექი და ვხედავდი, რომ მთელი მატჩის განმავლობაში გულითა და სულით იყო მოვლენებში ჩართული. ასე ვიყავით დანარჩენებიც. თან, ჩვენთვის იმის ცქერა, რომ „გალაქსის" ამბავს ასე ძალიან თვით დევიდ ბექემი განიცდის, ორმაგად მნიშვნელოვანი გახლდათ. მოედანზე მიმდინარე ამბები კი ნამდვილად არ იყო სასიამოვნო. ამას ვხედავდით ყველანი, ამასვე იზიარებდა ბექემი".

მწვრთნელი ფრენკ იალოპი ბექემს ჯერჯერობით არ ათამაშებს. მიზეზი ყველასთვის ცნობილია: კოჭის ტრავმა.

კლუბის მენეჯერი ალექს ლალასი კი ამბობს:

„ჩვენ ვხედავთ, რომ მას უნდა როგორც მოედანზე, ასევე სათადარიგოთა სკამზე გუნდის ნაწილი გახდეს და ეს ძალიან გვახარებს. ის ნერვიულობს, ის გრძნობს, რომ მოედანზე უნდა იყოს და რომ ვერ არის, ამას ღალატად მიიჩნევს. ახლა კიდევ ერთ ტესტს ჩავუტარებთ და დავასკვნით, შეიძლება თუ არა, ბექემმა ხვალ „დალასთან", რომ ითამაშოს".

საინტერესოა, რომ ამერიკაში ჩაფრენას აპირებს ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სტივ მაკლარენიც, რომელსაც თავისი ვეტერანი ვარსკვლავის ნახვა და იმის შემოწმება სჭირდება, შეძლებს თუ არა დევიდი 22 აგვისტოს გერმანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში თამაშს.

ლალასი: „დევიდს უნდა, რომ ჩვენი გუნდისთვის ასი პროცენტი გაიღოს და გვწამს, ამას სეზონის მომდევნო ნაწილში შეძლებს. ასე რომ, ჩვენ არ ვნერვიულობთ".

საინტერესოა, რომ შეხვედრას, რომელიც „გალაქსიმ" 1:2 წააგო, ლოს ანჯელესის „კოლიზეუმზე" 37 337 მაყურებელი დაესწრო, რომელთა უმეტესობა მექსიკელი იყო და მეტოქეს ქომაგობდა.

**ბაკურა ძიდია**

# მთავარია სტარტი!
## ფულის ამბავი პერის ჰკითხეთ



**ხაბი ალონსო** ამბობს, რომ თუ „ლივერპულს" პრემიერლიგის მოგება უნდა, თავიდანვე უნდა იფეთქოს.

მოგეხსენებათ, მერსისაიდელები, რომლებიც უკვე რა ხანია, ვერა და ვერ ხდებიან ინგლისის ჩემპიონები, ამ სატრანსფერო სეზონზე არნახულად გააქტიურდნენ — ახალ ფეხბურთელებზე 50 მილიონი გირვანქა დახარჯეს. ახალ შენაძენთა შორის არის ისეთი ცნობილი თავდამსხმელიც, როგორც გახლავთ ფერნანდო ტორესი მადრიდის „ატლეტიკოდან", თუმცა ტორესის თანამემამულე ალონსო ამბობს, რომ წარმატებისთვის მხოლოდ შემადგენლობის გაძლიერება საკმარისი არ იქნება.

„უპირველეს ყოვლისა, სტარტი უნდა გვქონდეს ძალიან ძლიერი — თქვა ალონსომ — თუ ჩემპიონატს ღონივრად დავიწყებთ, ეს დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას მოგვცემს და, შედეგად, კარგ სტარტს კარგი გაგრძელებაც მოჰყვება. გაიხსენეთ ბოლო რამდენიმე სეზონი. ამ სეზონებს ჩვენ ძალიან ცუდად ვიწყებდით და შემდეგ ჩამორჩენის გამოსწორებას ველარ ვახერხებდით. ამიტომაც, პირველი თამაშები უნდა ჩავატაროთ, რაც შეიძლება, ძლიერად. ჩემპიონატი ბოლო თამაშებზე ფიქრით არ უნდა დავიწყოთ".

ამასობაში კი, მერსისაიდელთა აღმასრულებელმა შეფმა რიკ პერიმ განაცხადა, რომ სატრანსფერო ბაზარზე „ლივერპულის" აქტიურობა, შესაძლოა, სულაც არ დასრულებულა.

„ამ ზაფხულს ინგლისში ბევრმა დახარჯა დიდძალი ფული. მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედმა", „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" და „ჩელსიმ". მათ გარდა გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ინვესტორი ახლახან იშოვნეს და მათ გააქტიურებას კიდევ უნდა ველოდოთ. ერთი სიტყვით, სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ჯერ შორია და ამიტომ, თუ გამოჩნდება ფეხბურთელი, რომელიც ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ ის ვიყიდოთ" — ბრძანა პერიმ.

**ბაკურა ძიდია**

# ნიძლავი: მარსელინიო თუ რიბერი?



„**ვოლფსბურგის**" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა მარსელინიომ „ბილდს" განუცხადა, რომ მას უკეთესი სეზონი ექნება, ვიდრე „ბაიერნის" ახალწვეულ ფრანკ რიბერის.

„რიბერი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მე ვჯობივარ — თქვა მარსელინიომ — უკვე დავნიძლავდი, რომ ფრანგზე მეტს გავიტან და მეტ საგოლე პასსაც გავაკეთებ. ჩვენ ახლა საუცხოო გუნდი გვყავს დიდებული მწვრთნელით".

„ვოლფსბურგს" ფელიქს მაგათი თავკაცობს, რომელიც გასულ ზამთარს მიუნხენის „ბაიერნიდან" გაუშვეს. მარსელინიო „ჰერტადან" გადავიდა „მგლებში", ბერლინურ კლუბში კი 172 მატჩში 69 გოლი გაიტანა.



**ვაჟა ხუციშვილი**

# ისლანდიელი ცაცია

„**რეჯინამ**" ოფიციალურად დაადასტურა, რომ ნორვეგიული „ლინიდან" ისლანდიელი ნახევარმცველი ემილ ჰალფრედსონი იყიდა. 23 წლის ცაცია ფეხბურთელი იტალიურ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. მას ნაკრებში შვიდჯერ უთამაშია, „ლინში" კი გასულ სეზონში 24 მატჩში 8 გოლი გაიტანა.

ჰალფრედსონი რეჯო კალაბრიაში გუშინ ჩავიდა სამედიცინო შემოწმების გასავლელად და ქაღალდებზე ხელის მოსაწერად.

# სპარტაკი ორად გაიყო

**მოსკოვის** „სპარტაკი" ბრაზილიელ ფორვარდს ყიდულობს, ოღონდ რომელს, ჯერ ვერ დაუზუსტებია.

რუსები ერთდროულად ორ ფეხბურთელს ევაჭრებიან — რაფაელ სობისს („ბეტისი") და ველიტონს („გოიასი").

„სპარტაკს" შეფობა უფრო სობისისკენ იხრება, ველიტონი კი თადარიგშია.

თუ ბეტისელის ტრანსფერი არ გამოუვათ, „გოიასს" მიაკითხავენ.

# ოცქულიანი სეკვესტრი

**არგენტინულ** „ნუევა ჩიკაგოს" 20 ქულა დააკლეს, რადგან „ტიგრესთან" მატჩში მათმა ქომაგებმა ჩხუბი ატეხეს, შედეგად კი ერთი ფანი დაიღუპა, 11 დაშავდა.

25 ივლისს „ტიგრესმა" 2:1 მოიგო საეჭვო პენალტით და ნუეველი გულშემატკივრები ამან გააბრაზა.

ეს უმძიმესი სასჯელია არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში და „ნუევა ჩიკაგო" ასეთი სეკვესტრის მერე ალბათ ქვედა ლიგაში გავარდება.

# ნადოპინგარი აინტრახტში

„**გრასჰოპერის**" მექსიკელი მცველი აარონ გალინდო ფრანკფურტის „აინტრახტში" გადავიდა და ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. შვეიცარიულ კლუბში მან გასული სეზონის მეორე ნახევარი გაატარა და 11 მატჩი ითამაშა.

2005 წელს კონფედერაციის თასზე გალინდო და მისი თანაგუნდელი სალვადორ კარმონა დოპინგზე გამოიჭირეს, რის გამოც ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. შედეგად მსოფლიოს ჩემპიონატზე მექსიკის ნაკრებში ვერ მოხვდნენ.

გალინდომ ოთხი სეზონი გაატარა „კრუს ასულში" და შარშან ესპანურ „ერკულესში" გადაბარგდა. იქ უმეტესად სათადარიგოებში იჯდა და თებერვალში „გრასჰოპერს" მიაშურა. ნაკრებში 11 მატჩი უთამაშია.

# კოპიანი სიტიში

„**დეილი სტარის**" ცნობით, „მანჩესტერ სიტი" დონეცკის „შახტარიდან" ბრაზილიელ ელანოს ყიდულობს. კლუბები 7 მილიონ 400 ათას გირვანქაზე მორიგდნენ. ელანო, რომელმაც ცოტა ხნის წინ „კოპა ამერიკა" მოიგო, სიტელთა მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს ესაუბრა და პრემიერლიგურ კლუბში გადასვლა გადაწყვიტა.

„სიტიმ" უკვე შეიძინა როლანდო ბიანკი და მარტინ პეტროვი.

**ვაჟა ხუციშვილი**



გორდონ სტრაჩანი



უოლტერ სმიტი

# ფულიც აქვს და მიზანიც

**თუ** ამხანაგური თამაშების მიხედვით მსჯელობა შეიძლება, მაშინ შოტლანდიის ჩემპიონს ცუდად აქვს საქმე — „სელტიკი“ მომავალ სეზონში ტიტულის შემნარჩუნებელი არ ჩანს.

ხუმრობაა? გორდონ სტრაჩანის შეგირდებმა შეიცარიულ „იანგ ბოიზთან“ და „ნიუკასლ იუნაიტედთან“ მოაწყვეს სპარინგები და ორივე ერთნარი, თანაც ფრიად უსიამოვნო ანგარიშით, 1:4 წააგეს, მაგრამ, ბუნბრივია, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

შარშან ამ დროსაც ზუსტად ასე იყო, გლაზგოელებს ამხანაგურ შეხვედრებში საშინელი შედეგები ჰქონდათ, ჩემპიონატი კი ჩინებული გამოუვიდათ.

საინტერესოა, რომ „სელტიკმა“ სატრანსფერო ბაზარზე სქოთურ გუნდებს შორის ყველაზე დიდი ქსელი გაშალა. განსაკუთრებით მრავლისმეტყველი გახლდათ ჰიბერნიანელი სკოტ ბრაუნისა და „მოზერუელის“ სკოტ მაკდონალდის ყიდვა. რით იყო მრავლისმეტყველი? იმით, რომ ერთიცა და მეორეც „სელტიკის“ მთავარი მეტოქის, „გლაზგო რეინჯერსის“ მაისურის მორგებაზე ოცნებობდა და ორივემ „სელტიკში“ ამოყო თავი — ესე იგი, ჩემპიონს დიდძალი ფული აქვს.

და რას ნიშნავს დიდძალი ფულის ქონა? სტატისტიკას თუ ჩავხედავთ, შოტლანდიაში ეს წარმატებას ნიშნავს. სხვა სიტყვებით, მრავალი, მრავალი წელიწადია, რაც ღარიბ გუნდს სქოთთა ტიტული არ მოუგია.

გახსოვთ, „სელტიკმა“ გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგაშიც კარგი შთაბეჭდილება რომ დატოვა? როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს ყველაფერი კარგი საბანკო ანგარიშის გამოა.

მაგრამ, როგორც ამბობენ, ევროსარბიელზე თავის მოწონება გორდონ სტრაჩანის გეგმებს შორის პირველ ადგილზე ნამდვილად არ არის, პირველზე შოტლანდიის ჩემპიონის ტიტულის ზედიზედ მესამედ მოპოვებაა.

მოდით, ისევ ისტორიის წიგნს ჩავხედოთ: სქოთთა ქვეყანაში 1946 წლის შემდეგ, ზედიზედ სამჯერ და მეტჯერ ტიტული ისევ „სელტიკმა“ მოიპოვა — ცხრაჯერ, 1965-1974 წლებში, რაც შემდეგ, 1988-1997-ში „გლაზგო რეინჯერსმა“ გაიმეორა.

და საქმეც ესაა — „რეინჯერსის“ უგულებელყოფა არაფრით შეიძლება. ეს გუნდი უოლტერ სმიტის ხელმძღვანელობით საკუთარი თავის რწმენის ახალ ტალღას შემოხტომია და, მართალია, ფინანსურად „სელტიკი“ სჯობს, ჯაბანი არც თავად არის.

ასე რომ, დაველოდოთ... თუმცა მოსაცდელი ბევრიც აღარ დარჩა: სქოთთა პრემიერლიგა 4 აგვისტოს იწყება. პირველ დღეს „რეინჯერსი“ სტუმრად ეთამაშება „ინვერნესს“, მეორე დღეს კი „სელტიკი“ „კილმარნოკს“ მასპინძლობს.

**პაპუნა ძეძია**

# ადუ არჩევს ელაპარაკა

**მეიჯორ ლიგის** „სოლტ ლეიკის“ მწვრთნელმა ჯეისონ კრეისმა დაადასტურა, რომ მისი გუნდის ფორვარდი, 18 წლის ფრედი ადუ ლისაბონში ჩავიდა „ბენფიკასთან“ მოსალაპარაკებლად.

გარიგება თუ შედგა, ფეხბურთელი ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს „არწივებთან“.

აშშ-ის 20-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი ერთ-ერთ უნიჭიერესად ითვლება არა მარტო ამერიკაში.

„მეიჯორ ლიგამ და კლუბმა ადუს ნება დართეს, „ბენფიკასთან“ ისაუბროს — განაცხადა კრეისმა — ადრე თუ გვიან მას მაინც წაიყვანს ევროპული გუნდი და ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, უკეთესი მომავალი ვუსურვოთ“.

ფრედი ადუ, წარმოშობით განელი, შარშან „მანჩესტერ იუნაიტედშიც“ იყო გასინჯვაზე და ორი კვირა გაატარა ალექს ფერგიუსონის გუნდში. მისით „რეალი“, „ჩელსი“ და „ინტერიც“ იყვნენ დაინტერესებულნი.

ფეხბურთელის დედამ, ემელიამ, გაამხილა, რომ 2001-ში „ინტერი“ ადუში 750 ათას დოლარს იხდიდა, მაგრამ 12 წლის ბიჭი ამერიკიდან მშობელმა არ გაუშვა.

„ბენფიკას“ პრეზიდენტმა ლუიშ პელიპე ვიეირამ თქვა: „არ ვიცი, ვიყიდით თუ არა ადუს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ყველაფერს სასიკეთოდ მოვაგვარებთ“.

„ბენფიკა“ ფეხბურთელში 2 მილიონ ევროს იხდის.

იტალიური „კორიერე დელო სპორტის“ ვერსიით კი, ფრედი ადუ შეიძლება, „ინტერში“ აღმოჩნდეს.

ინტერელები მის ყიდვას და „პარმაში“ განათხოვრებას აპირებენ.

**გაჟა ხუციშვილი**



# ფეხბურთელებმა პენევი დაინიშნეს

## ბულგარეთმა 13 წლის ისტორია დაიბრუნა

**62 წლის** დიმიტარ პენევი ხელმეორედ ჩაუდგა სათავეში ბულგარეთის ნაკრებს და ევრო 2008-ის შესარჩევის ბოლომდე უხელმძღვანელებს.

„მე ვარ ნაკრების ახალი მწვრთნელი და დეტალებზე უახლოეს დღეებში მოგახსენებთ“ — განუცხადა ფედერაციის შენობიდან გამოსულმა პენევმა ჟურნალისტებს.

ბულგარელებს აპრილამდე ხრისტო სტოიჩკოვი თავკაცობდა, რომელიც გაათავისუფლეს და შემდეგ ვიგოს „სელტა“ ჩაიბარა.

დროებით მწვრთნელად სოფიის „ლევსკის“ სტანიმირ სტოილოვი დანიშნეს და მან ორი მატჩი მოუგო ბელარუსს.

დიმიტარ პენევის ხელქვეით კი ბულგარეთის ნაკრებმა ისტორიულ შედეგს მიაღწია — მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე აშშ-ში მეოთხედფინალში გერმანია 2:1 დაამარცხა და ნახევარფინალში იტალიასთან წააგო. მესამე ადგილისთვის მატჩში კი შვედებმა 4:0 გაანადგურეს.

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ამას წინათ განაცხადა: „ფეხბურთელებთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვიტეთ, ვის ვანდობთ ნაკრებს“.

გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა დიმიტარ ბერბატოვმა თქვა, რომ დიმიტარ პენევის დანიშვნა სწორი ნაბიჯია.

ევრო 2008-ის შესარჩევ G ჯგუფში ბულგარეთი 15 ქულით მეორე ადგილზეა და რუმინეთს ორით ჩამორჩება.

დიმიტარ პენევის პირველი მატჩი 22 აგვისტოს უელსთან ამხანაგურ შეხვედრა იქნება, შესარჩევში კი 8 სექტემბერს ჰოლანდიას ეთამაშება.

**გაჟა ხუციშვილი**



დიმიტარ პენევი და ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორისლავ მიხაილოვი

## რომეო მეოთხე იქნება

**„ფეიენოორდისა“** და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი რომეო კასტელენი „ჰამბურგში“ გადადის. კლუბები 2 მილიონ 500 ათას ევროზე შეთანხმდნენ, ფეხბურთელი კი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

სურინამში დაბადებულ კასტელენს „ნარინჯისფერ“ ნაკრებში ათი მატჩი უთამაშია. ტრავმების გამო კი წინა სეზონის მეტი ნაწილი გაუცდა.

„ჰამბურგს“ ჰოლანდიელი ჰუუბ სტევენსი წვრთნის და უკვე ჰყავს გუნდში სამი თანამემამულე — რაფაელ ვან დერ ვაარტი, იორის მატიისენი და ნაიჯელ დე იონგი.

## ივანოვიჩი იუვესთვის

**ტურინის** „იუვენტუსი“ მოსკოვის ლოკომოტიველი ბრანისლავ ივანოვიჩით დაინტერესდა.

სერბმა კარგად ითამაშა ივნისში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, სადაც მისი ნაკრები მასპინძელ ჰოლანდიასთან ფინალში დამარცხდა.

„იუვეს“ ივანოვიჩი ჯორჯო კიელინის შემცვლელად უნდა, რომელსაც „მანჩესტერ სიტი“ ეპატიჟება.

## ბეკენბაუერი ინგლისელია

**მიუნხენის** „ბაიერნის“ პრეზიდენტი და ფიფას აღმასკომის წევრი ფრანც ბეკენბაუერი მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის ინგლისში გამართვას მხარს უჭერს.

„ჩვენ უნდა მივდიოთ როტაციის პრინციპს და 2018-ში მუნდიალს ევროპულმა ქვეყანამ უნდა უმასპინძლოს — თქვა „კაიზერ ფრანცმა“ — ინგლისი ერთადერთი სერიოზული კანდიდატია, რადგან მათი პრემიერლიგა მსოფლიოში საუკეთესოა, სტადიონები კი გადასარევი“.

**გაჟა ხუციშვილი**

# მორიდებული ბაჭია: თქვენ ჯერ არ მიცნობთ

**ცოტა ხნის წინ „ბარსელონადან" „რეალში" გადასული ხავიერ სავიოლა ნელ-ნელა ეგუება ახალ გარემოს და იმედოვნებს, რომ ძველებურად კარგად ათამაშდება. ამხანაგურ მატჩებში „ბაჭიამ" უკვე ითამაშა „რეალის" შემადგენლობაში. 25 წლის არგენტინელ თავდამსხმელს ესპანური „ასი" გაესაუბრა...**



**— როგორ გრძნობთ თავს „რეალის" შემადგენლობაში ჩატარებული პირველი მატჩების შემდეგ?**

— მშვენივრად, რადგან ნელ-ნელა ფორმაში ვდგები. თუმცა მეც და მთელმა გუნდმაც კიდევ უნდა მოვუმატოთ.

**— ადაპტაცია გიჭირთ?**

— პირად ურთიერთობებს რაც შეეხება, საერთოდ არა, რადგან „რეალში" ბრწყინვალე ხალხი დამხვდა, როგორც ფეხბურთელები, ასევე ხელმძღვანელები. უბრალოდ, გუნდის და თანაგუნდელების სათამაშო სტილს უნდა შევეჩვიო. ამას ცოტა დრო სჭირდება.

**— „რეალსა" და „ბარსელონას" შორის დიდი განსხვავებაა?**

— „რეალის" დარად, „ბარსელონაც" ბრწყინვალე, დიდი გუნდია, მაგრამ გარკვეულ საკითხებში ეს კლუბები აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ვფიქრობ, ეს ცვლილება ჩემთვის დროული და სასარგებლოა. ძალიან მნიშვნელოვანია, ისეთი ფეხბურთელების გვერდით ვითამაშო, როგორებიც რაული და გუტი არიან.

**— გასახდელში რა სიტუაციაა, როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ?**

— ძალიან კარგი, როგორც ვთქვი, „რეალში" ბრწყინვალე ხალხია შეკრებილი.

**— ყველაზე მეტად ვის დაუახლოვდით და ვისთან ურთიერთობთ?**

— ოთახში რაულთან ერთად ვარ და, შესაბამისად, ყველაზე მეტს მას ვესაუბრები. ასევე ბევრს ველაპარაკები სოლდადოს, იგუაინსა და ახალგაზრდული გუნდის მოთამაშეებს. „რეალის" ახალწვეულ პეპესაც დავუახლოვდით.

**— მორცხვი ხართ?**

— მორიდებული უფრო ვარ, ვიდრე მორცხვი, მაგრამ ვიხსნები ხალხთან, რომლებიც მომწონს. ჩემი პრობლემა ისაა, რომ ზოგჯერ ადამიანებთან ზედმეტ სიფრთხილეს ვიჩენ. ცხოვრებას არ მოუცია იმის საშუალება, რომ ძალიან მიმნდობი ვიყო.

**— და მაინც რა არის ამის მიზეზი?**

— კარიერა ძალიან ადრეულ ასაკში დავიწყე და მამა რომ მომიკვდა, მაშინ პატარა ვიყავი. ალბათ ამის მერე დავიწყე ზედმეტი სიფრთხილის გამოჩენა. ცოტა მორიდებული თუ მორცხვი ვარ, როგორც გენებოთ, ისე თქვით. ურთიერთობაში პირველი ნაბიჯის გადადგმა მიჭირს.

**— მამათქვენი იმ დროს გარდაიცვალა, როცა „ბარსელონაში" გადახვედით. ეს პერიოდი კარგად გახსოვთ?**

— უცნაური პერიოდი იყო. ბედნიერი ვიყავი „ბარსელონაში" გადასვლით და თან ძალიან ვწუხდი მამაჩემის გამო. იგი კიბოთი კვდებოდა და კონტრაქტი ახალი გაფორმებული მქონდა, როცა ბარსელონადან არგენტინაში დაბრუნება მომიხდა. იგი 4-5 კვირაში გარდაიცვალა.

**— ამან იმოქმედა თქვენს კარიერაზე?**

— თამაშზე არა. ყოველთვის მამაჩემის ხსოვნის საპატივცემულოდ ვთამაშობდი, ეს დამატებითი სტიმული გახლდათ. სხვა საქმეა, რომ ახალ ქვეყანაში ცოტა ხნის ჩამოსული ვიყავი და მარტო დედაჩემთან ერთად მიხდებოდა ცხოვრება.

**— „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა თქვა, რომ სათამაშო სტილით თქვენ ხართ რაულისა და მაიკლ ოუენს შორის მყოფი ფორვარდი...**

— ეს პრეზიდენტის ნათქვამი მალღფარდოვანი სიტყვები გახლდათ.

**— „ბარსელონას" რიგებში თქვენს პირველ სეზონში 21 გოლი გაიტანეთ. რამდენს გაიტანთ მომავალ სეზონში?**

— 20 მაინც რომ გავიტანო, ბრწყინვალე იქნება. აუცილებელ მიზნად არ ვისახავ ბევრი გოლის გატანას. მთავარია, მნიშვნელოვანი ბურთები შევაგდო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სისტემატურად ვითამაშო, მრავალმხრივი და სასარგებლო ვიყო, რათა თანაგუნდელებს დავეხმარო. თუ გუნდი იმარჯვებს, შენც მოგებული რჩები.

**— მეორე თავდამსხმელი ხართ თუ გამოკვეთილი ფორვარდი?**

— თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ, როცა რუუდ ვან ნისტელროის სტილის ფორვარდის გვერდით ვთამაშობ. ასე იყო „რივერ პლეიტში", როცა ანხელის მხარდამხარ ვთამაშობდი და „ბარსელონაში", როცა ჩემი მეწყვილე პატრიკ კლუივერტი გახლდათ. ასეთ შემთხვევებში მეტი სივრცე მეძლევა და გუნდისთვის უფრო სასარგებლო ვარ, თავსაც უკეთ ვგრძნობ.

**— „რეალის" ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვება ძნელი იქნება...**

— ასე იყო „რივერშიც" და „ბარსელონაშიც". ყველა დიდი კლუბისთვის დამახასიათებელი ვითარებაა.

**— რაც ევროპაში ხართ, ძირითადი შემადგენლობის თავდამსხმელად თუ მიიჩნეოდით რომელიმე კლუბში?**

— „ბარსელონაში" ჩემი პირველი სეზონისას და მწვრთნელად ფრანკ რაიკარდის მოსვლის მეორე სეზონში. ასევე „სევილიაში", როცა გუნდის თავკაცი რადომირ ანტიჩი იყო.

**— „რეალში" თქვენი მიზანი რა არის?**

— მინდა, წარმოვაჩინო ჩემი ნამდვილი ფეხბურთი. ხალხი ჯერ საკმარისად არ მიცნობს. მინდა, ბოლომდე გავიხსნა და შესაძლებლობები სრულად გამოვავლინო.

**— ბერნდ შუსტერს მიხაელ ბალაკი ან მისი სტილის მოთამაშე სურს. ამაზე რა აზრის ხართ?**

— მწვრთნელმა ყველაზე უკეთ იცის, რა სჭირდება გუნდს. ბევრ მოთამაშეს როდი აქვს იმის ალღო, როგორ მოიპოვს ბურთი და მერე თავდამსხმელები როგორ მოამარაგოს პასებით. ბალაკის დარი ფეხბურთელები ცოტანი არიან.

**— ვან ნისტელროიზე რას იტყვით?**

— იგი არის „კაცი-გოლი". რუუდი ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო, შედეგიანი ფორვარდია მსოფლიოში. თუ კარგ პასს გაუკეთებ, ყოველთვის გაიტანს.

**— რაული?**

— იგი „რეალის" სიმბოლოა და ამით ყველაფერია ნათქვამი. მას უნდა გოლის გატანა და ეხმარება თანაგუნდელებსაც. უკვე მრავალი წელია, რაული „რეალშია" და ახლაც ისეთივე მოტივირებული და გამარჯვებაზე დაგეშილია, როგორც ადრე.

**— სოლდადო?**

— კარგად მოძრაობს მეტოქეთა მცველებს შორის და ყოველთვის მზად არის სწრაფი დარტყმისთვის.

**— რაზე ოცნებობთ მომავალ სეზონში?**

— მინდა, მოვიგო ტიტულები, კარგად ვითამაშო და პირად ცხოვრებაშიც კარგი ამბები მოხდეს.



# მემარჯვენე სისინიო

**მადრიდის** „რეალის" ბრაზილიელი გარემარბი სისინიო უკმაყოფილოა, რომ თავის საყვარელ მარჯვენა ფლანგზე არ ათამაშებენ. „სამეფო გუნდში" მას, ძირითადად, მარცხნივ აყენებენ ხოლმე და ახლა ასე იქცევა „რეალის" ახალი მწვრთნელი ბერნდ შუსტერიც.

„მინდა, ჩემს საყვარელ პოზიციაზე ვითამაშო, სადაც ყველაზე სასარგებლო ვარ და თავს კარგად ვგრძნობ. იმედია, მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდის დამახასიათებელი ექსპერიმენტების გამო მათამაშებენ იმ პოზიციებზე, რომლებზეც არ მსურს ყოფნა. აქამდე ძირითადი შემადგელობის ფეხბურთელად არ ვითვლებოდი, რაც ნამდვილად არ მსიამოვნებს" — აღნიშნა სისინიომ.

ეს განცხადება კარგი ნიშანი უნდა იყოს იტალიური „მილანისა" და „რომასთვის". ეს კლუბები შარშან ზაფხულსაც აწარმოებდნენ სისინიოსთან მოლაპარაკებებს, სანამ იგი „რეალში" გადავიდოდა.

„მილანიც" და განსაკუთრებით „რომაც" დღემდე დაინტერესებულნი არიან სისინიოთი. კრისტიან კივუს წასვლის შემდეგ „გლადიატორები", სავარაუდოდ, კიდევ უფრო გააქტიურდებიან და მაქსიმალურად ეცდებიან ბრაზილიელის ხელში ჩაგდებას.

სისინიო: „თავს „რეალის" წევრად ვგრძნობ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა და თუ მწვრთნელი ჩათვლის, რომ ჩემ გარეშეც შეუძლია ფონს გასვლა, შეიძლება, წასვლა გადავწყვიტო. მხოლოდ მაშინ ვიქნები ბედნიერი და კმაყოფილი, თუ მარჯვნივ მათამაშებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ალბათ ყველასთვის აჯობებს, გუნდი გამოვიცვალო."

**ბობი ბანდელაძე**

# ვილტორდი შუა გზიდან მობრუნდა

**სილვენ ვილტორდმა** „რენში" გადასვლა გადაიფიქრა და „ლიონში" დარჩება. 33 წლის ნახევარმცველს წინა სეზონის ბოლოს ჟერარ ულიესთან კონფლიქტის გამო გუნდიდან აბარგება სურდა და „რენთან" უკვე შეთანხმებული იყო, მაგრამ ტრანსფერი არ შედგება. ახლა „ლიონს" ალან პერენი წვრთნის, რომელმაც თავისი ნებით წასული ულიე შეცვალა. ვილტორდი ზედიზედ ექვსგზის ჩემპიონ გუნდში კონტრაქტის ამოწურვამდე, 2008-ის ივლისამდე თამაშებს.

ფეხბურთელს მძიმე სეზონი ჰქონდა. ტრავმებმა დატანჯა, ქეიფისთვის და ვარჯიშის გაცდენისთვის დააჯარიმეს და პოლიციამაც გამოიჭირა ავტომობილის გადაჭარბებული სიჩქარით მართვის დროს. „ლიონის" შეკრებაც გამოტოვა სამხრეთ კორეაში, რადგან ტრავმირებული იყო.



ჟერარ ულიემ ვარჯიშის გამცდენს ლექცია წაუკითხა, მან კი ფრანგულ მედიასთან დაიჩივლა: „არ მესმის, რატომ მაკრიტიკებენ. მე მაქვს პირადი ცხოვრება, მიყვარს გართობა, მაგრამ გუნდისთვის თავი არასოდეს დამიზოგავს".

კლუბის პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ განაცხადა, რომ ვილტორდის დატოვება ახალმა მწვრთნელმა მოითხოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# 90 000000



**დღეს** ან ხვალ „რეალი“ „მილანს“ კაკაში 90 მილიონ ევროს შესთავაზებს — წერს ესპანური „მარკა“.

გარიგება თუ შედგა, უძვირესი ტრანსფერი იქნება ფეხბურთის ისტორიაში. ჯერჯერობით სარეკორდო ზინედინ ზიდანის ფასია (75 მილიონი), რომელიც „რეალმა“ „იუვესგან“ 2001 წელს იყიდა.

„რამდენიმე თვის წინ კლუბი კრიშტიანუ რონალდუს შეძენას ცდილობდა, ახლა კი კაკას გადმობირებას ვლამობთ — თქვა „რეალის“ მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა — ჩვენ დიდძალი ფული გვაქვს და აუცილებლად ვიყიდით ერთ ან ორ ძლიერ ფეხბურთელს“.

„სამეფო კლუბის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი კარგა ხანია, უჩხიკინებს „მილანს“, რადგან კაკა მისი მთავარი სამიზნეა. ერთი კვირის წინ ბრაზილიელმა სააგენტო ANSA-სთან განაცხადა: „რეალი“ ფანტასტიკური კლუბია, მაგრამ ფული ყველაფერს არ წყვეტს. საკმაო მაგალითები მაქვს იმისა, თუ როგორ „დაიკარგნენ“ აქედან წასული ფეხბურთელები და ახლა ნანობენ. მე აქ მსურს ისტორიის შექმნა“.

იტალიური მედიის ცნობით, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი და „რეალის“ სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი ქალაქ ლეკოსთან ახლოს (სადაც „მილანმა“ კვირას ამხანაგური მატჩი ითამაშა), სასტუმრო „ფორტე დეი მარმიში“ შეხვდნენ. შეფებმა კაკაზე და ჟულიო ბაპტისტაზე ისაუბრეს. მილანელებს 9 მილიონ გირვანქად ბაპტისტას შეძენა სურთ, რომელიც „რეალს“ ეკუთვნის და წინა სეზონი „არსენალში“ გაატარა.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „მილანი“ 17 წლის ალეშანდრე პატოს იყიდის ბრაზილიური „ინტერნასიონალიდან“. ბიჭს იტალიური გრანდის ამბავი რომ გაუგია, უთქვამს: „ჩემს წასაყვანად „მილანიდან“ ჩამოდიან? ფანტასტიკურია! მე ალბათ მილანელ სტუმრებს ვერ ვნახავ, მაგრამ მოუთმენლად ველი ჩემს აგენტთან შეხვედრას“.

„შავ-წითლების“ სკაუტი ლეონარდო გუშინ უნდა ჩასულიყო ბრაზილიაში „ინტერნასიონალთან“ სალაპარაკოდ. იტალიელები 14 მილიონ გირვანქას იხდიან ნიჭიერ ბიჭში. დაახლოებით ასევე მოაგვარა ლეონარდომ 2003-ში კაკას ტრანსფერი. პატო ალბათ იანვარში ჩავა მილანში და კონტრაქტს მას შემდეგ გააფორმებს, 18-ის რომ შესრულდება. სავარაუდოდ, ბრაზილიელი ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს, წელიწადში 800 ათას გირვანქას მიიღებს, 2011 წლიდან კი ჯამაგირს მილიონ 300 ათასამდე გაუზრდიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფული არ მოითხოვო!



**ზლატან** იბრაჰიმოვიჩს „ინტერი“ კონტრაქტის 2012 წლამდე გახანგრძლივებას შესთავაზებს, მაგრამ კლუბი იმედოვნებს, რომ შვედი ფეხბურთელი ჯამაგირის გაზრდას არ მოითხოვს.

შარშან, კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ „იუვედან“ „ინტერში“ გადასულ ფეხბურთელს საკმაოდ კარგი სეზონი ჰქონდა და „შავ-ლურჯებსაც“ ამიტომ სურთ მისი შენარჩუნება. 27 მატჩში შვედმა 15 გოლი გაიტანა და წვლილი შეიტანა „ინტერის“ გაჩემპიონებაში.

„გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში ინტერელთა ტექნიკურმა დირექტორმა მარკო ბრანკამ განაცხადა: „მალე კონტრაქტს გავუგრძელებთ იბრაჰიმოვიჩს, ოღონდ ხელფასი იგივე დარჩება“.

დირექტორი ბჭობს, მაგრამ არავინ იცის, რას ფიქრობს შვედი ფორვარდი, დათანხმდება თუ არა ძველ ხელფასზე.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი 2004 წელს „აიაქსიდან“ იყიდა „იუვენტუსმა“ და პირველივე სეზონში 35 მატჩში 16 გოლი შეაგდო, მომდევნოში კი „გაქრა“, თუმც „ინტერში“ კვლავ გამოჩნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# როსის რიგი დაუდგა



**იტალიის** 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდ ჯუზეპე როსის „ნაპოლი“, „პარმა“ და „ფიორენტინა“ ეპატიჟებიან.

როსი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეკუთვნის, მაგრამ ალექს ფერგიუსონი მის გაყიდვაზე თანახმაა. ფეხბურთელი გასული სეზონის მეორე ნახევარში „პარმაში“ იყო განათხოვრებული — 19 მატჩში 7 გოლი გაიტანა და გუნდს სერია A-ში დარჩენაში დაეხმარა.

მეგოლეს ახლა დიდი არჩევანი აქვს.

„ჯუზეპე უბედნიერესი იქნება, „ნაპოლიში“ თუ გადავა — თქვა აგენტმა ფედერიკო პასტორელომ — იგი უფრო მეტს ფიქრობს მომავალ გუნდზე, ვიდრე ფულზე“.

ნეაპოლელებმა გასულ კვირას დაადასტურეს, რომ ჯუზეპე როსის ყიდვა ძალიან სურთ, თუმც ოფიციალურად „მანჩესტერისთვის“ არ მიუმართავთ. ჯერჯერობით ერთადერთი კლუბი, რომელმაც ქაღალდები აფრინა მანჩესტერში, „პარმაა“, მაგრამ ინგლისური გუნდი აზიურ ტურნეშია და პარმელები ფერგიუსონის დაბრუნებას ელოდებიან.

„ფიორენტინაც“ ეძებს თავდამსხმელს და მზადაა, როსიში 8 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

„იებში“ 21-წლამდელთა სამი ფეხბურთელი თამაშობს — ჯამპაოლო პაცინი, რიკარდო მონტოლივო და არტურო ლუპოლი.

**ვაჟა ხუციშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არგენტინის სიყვარული და ოცნება მესიზე

**მილანის** „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი არგენტინულ გაზეთ „ოლეს“ ესაუბრა და რამდენიმე საინტერესო კომენტარი გააკეთა. რა თქმა უნდა, საუბარი ძირითადად არგენტინულ ფეხბურთს შეეხო.

მორატის თქმით, მისი საოცნებო ფეხბურთელი ლიონელი მესია, რომელსაც „ინტერს“ უკავშირებენ ხოლმე, მაგრამ „ბარსელონა“ თავის ახალგაზრდა ვარსკვლავს ჯერჯერობით ვერ ელევა და ეს „ნეროაძურის“ პრეზიდენტსაც კარგად ესმის.

„მოთამაშე, რომლის „ინტერში“ გადმოსვლა ახლა ყველაზე მეტად მინდა, ლეო მესია. მას საკმაო ხანია, ვაკვირდები და ჯერჯერობით ასეთი დიდი პოტენციალის მქონე სხვა ფეხბურთელი არ მეგულება. თუმცა „ბარსელონა“ ამბობს, რომ ის ხელშეხებელია. ასე რომ, მესი ჩემთვის ჯერჯერობით აუხდენელ ოცნებად რჩება“ — თქვა მორატიმ.

არადა, მესი რომ „ინტერში“ გადავიდეს, თავს როგორც სახლში, ისე იგრძნობს. ჯერ ერთი, „ნეროაძური“ არგენტინელებით გადავსებულია და მეორეც, მესის იტალიური ფესვები აქვს.

მასიმო მორატი: „ხავიერ ძანეტი ბრწყინვალე კაპიტანია. ნიკოლას ბურდისოს დიდი მცველისთვის საჭირო ხასიათი აქვს. ესტებან კამბიასო ის ფეხბურთელია, რომელსაც ყველაფრის გაკეთება შეუძლია. ერნან კრესპო საოცარი ფორვარდია, ხულიო კრუზი ყოველთვის სასარგებლო გახლავთ, სანტიაგო სოლარი კი პიროვნებაა, რომლის იმედიც ყოველთვის გვქნება“.

როგორც ჩანს, მორატის არგენტინა მამამისმა, „ინტერის“ ლეგენდარულმა პრეზიდენტმა ანჯელო მორატიმ შეაყვარა.

ნავთობმაგნატმა ორი ძველი არგენტინელ-იტალიელი ვარსკვლავიც გაიხსენა — ანტონიო ვალენტინ ანხელილო და ომარ სივორი.

„ჩემი პირველი კერპი ანხელილო გახლდათ — ამბობს მორატი — იგი იტალიაში 1957 წელს ჩამოვიდა, როცა 12 წლის ვიყავი. მამაჩემს სივორის დამატებაც უნდოდა, მაგრამ იგი „იუვენტუსში“ გადავიდა. არგენტინელი ფეხბურთელები იმიტომ მომწონს, რომ ისინი ტექნიკურები არიან, მებრძოლი ხასიათი აქვთ და იტალიური ცხოვრების სტილსა თუ მთლიანად აქაურობას მალე ეგუებიან, ადაპტაციის პრობლემა არ აქვთ“.

„ინტერის“ ბოლო არგენტინელი მწვრთნელი კი ექტორ რაულ კუპერი გახლდათ, რომელმაც 2002 წელს სკუდეტო ბოლო ტურში დაკარგა. მაშინ „ნეროაძურიმ“ „ლაციოსთან“ 2:4 წააგო და ჩემპიონობა „იუვენტუსს“ გადაულოცა.

„კუპერმა „ინტერში“ ვერაფერი მოიგო, მაგრამ მასთან მაინც კარგი მოგონებები მაკავშირებს. კუპერს 2002 წლის სკუდეტო ცხვირწინ ააცალეს, თუმც, თუ ყველაფერს კარგად გავაანალიზებთ და უკან გავიხედავთ, შესაძლოა, ეს ბოლომდე მისი ბრალიც არ იყო. გამიხარდა, რომ იგი წლეულს გაიხსენეს, როცა ჩემპიონები გავხდით. ეს ჩვენი მორალური, სუფთა გამარჯვება იყო“ — დასძინა მორატიმ.

**კოკი კანდელაკი**

## ბრაზილია

### სერია A. XV ტური

ამერიკა — სან პაულუ 0:1; კრუზეირო — ბოტაფოგო 3:2; ფლუმინენსე — ფიგეირიენსე 1:1

## ჩილე

### პრიმერადივიზიონი. II ტური

ევერტონი — ესპანიოლა 0:0; პუერტო მონტი — პალესტინო 2:1; კონსეპსიონი — კოლო კოლო 0:3; მელიპილა — ნუბლენსე 2:0; უონდერერსი — ჰიგინსი 2:3

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ავსტრია | | | | | | |
| | | ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 21:30 | 32 | ალტახი-რაპიდი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | ავსტრია | | | | | | |
| | | I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 38 | აუსტრია(ლ)-ლეობენი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 21:00 | 39 | ბედ აუსი-პარნდორფი | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 21:00 | 40 | გრატკორნი-ზალცბურგი მ | 2.10 | 3.00 | 3.00 | 1.23 | 1.23 | 1.50 |
| 21:00 | 41 | კაფენბერგი-ლუსტენაუ | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 21:00 | 42 | კერნტენი-შვანენშტადტი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 21:00 | 43 | შვადორფი-აუსტრია(მ) | 1.65 | 3.20 | 4.90 | 1.08 | 1.23 | 1.93 |
| | | შვეიცარია | | | | | | |
| | | სუპერლიგა | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 21:45 | 50 | თუნი-სტ.გალენი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 105 | ხიმკი-რუბინი | 2.30 | 2.60 | 3.20 | 1.22 | 1.33 | 1.43 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 147 | რანდერსი-ოლბორგი | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 179 | გიოტებორგი-იორებრო | 1.55 | 3.60 | 4.90 | 1.08 | 1.17 | 2.07 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 180 | ჰამარბი-მალმიო | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 23:45 | 242 | გოიასი-პარანა | 1.80 | 3.20 | 3.85 | 1.15 | 1.22 | 1.74 |
| 23:45 | 243 | ნაუტიკო-ფლუმინენსე | 2.70 | 3.15 | 2.35 | 1.45 | 1.25 | 1.34 |
| 23:45 | 244 | ბოტაფოგო-ამერიკა | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 23:45 | 245 | პალმეირასი-სპორტ რისაიფი | 1.40 | 3.85 | 7.20 | 1.02 | 1.17 | 2.50 |
| 23:45 | 246 | ატლეტიკო მნ-სანტოსი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 247 | ატლეტიკო პრ-კორინთიანსი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 23:45 | 248 | ინტერნასიონალი-ვასკუ და გამა | 1.75 | 3.25 | 4.25 | 1.13 | 1.23 | 1.84 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 422 | პიუნიკი-შახტარი | 6.00 | 3.70 | 1.35 | 2.28 | 1.10 | 1.00 |
| 20:00 | 423 | ტამპერე-ლევსკი სოფია | 4.00 | 3.15 | 1.75 | 1.76 | 1.21 | 1.12 |
| 22:15 | 424 | კოპენჰაგენი-ბეითარ ჯ | 1.55 | 3.10 | 5.00 | 1.03 | 1.18 | 1.91 |
| 22:30 | 425 | გენკი-სარაევო | 1.40 | 3.40 | 6.90 | 1.00 | 1.16 | 2.27 |
| 22:45 | 426 | დებრეცენი-ელფსბორგი | 2.20 | 2.90 | 2.80 | 1.25 | 1.23 | 1.42 |
| 22:45 | 427 | ზაგლებე ლ-სტიაუა | 3.20 | 3.15 | 1.90 | 1.58 | 1.19 | 1.18 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 17:00 | 428 | ასტანა-რუსენბორგი | 3.40 | 3.10 | 1.80 | 1.62 | 1.17 | 1.13 |
| 20:00 | 429 | ვენტსპილსი-ზალცბურგი | 3.90 | 3.15 | 1.75 | 1.74 | 1.20 | 1.12 |
| 22:00 | 430 | ჟილინა-სლავია | 2.60 | 2.80 | 2.40 | 1.34 | 1.24 | 1.29 |
| 22:00 | 431 | ბეშიქთაში-შერიფ ტირასპოლი | 1.10 | 6.10 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.15 |
| 22:15 | 432 | დომჟალე-დინამო ზ | 3.20 | 3.15 | 1.95 | 1.58 | 1.21 | 1.20 |
| 22:15 | 433 | ცრვენა ზვეზდა-ტალინი | 1.15 | 5.50 | 10.50 | 1.00 | 1.03 | 3.60 |
| 22:30 | 434 | ჰაფნარფიორდური-ბატე | 2.25 | 2.90 | 2.80 | 1.26 | 1.24 | 1.42 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 22:30 | 312 | ჰანოვერი-რეალი | 4.70 | 3.30 | 1.60 | 1.93 | 1.19 | 1.07 |
| 22:10 | 315 | ბრონდბიუ-ჩელსი | 5.50 | 3.30 | 1.50 | 2.06 | 1.17 | 1.03 |
| 22:30 | 318 | კიოლნი-ბაიერნი | 4.70 | 3.50 | 1.60 | 2.00 | 1.19 | 1.09 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10179 | გიოტებორგი-იორებრო | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10180 | ჰამარბი-მალმიო | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11179 | გიოტებორგი-იორებრო | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11180 | ჰამარბი-მალმიო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12179 | გიოტებორგი-იორებრო | 1.80 | 1.80 |
| 12180 | ჰამარბი-მალმიო | 1.80 | 1.80 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში.

| | | | |
|---|---|---|---|
| 14179 | გიოტებორგი-იორებრო | 1.30 | 2.50 |
| 14180 | ჰამარბი-მალმიო | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15179 | გიოტებორგი-იორებრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | ჰამარბი-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16179 | გიოტებორგი-იორებრო | 1.17 | 4.10 |
| 16180 | ჰამარბი-მალმიო | 1.58 | 2.10 |

### გოლი:ლუწი-1ტუ კენტი-2
(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17179 | გიოტებორგი-იორებრო | 1.85 | 1.95 |
| 17180 | ჰამარბი-მალმიო | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

კალათბურთი

# ნაკრები ელისს აღარ ელის

## მარკოიშვილების საფიქრალი: ტრავმა

**ეროვნულ ნაკრებში მატებაა — კენ შილდსის სამნყსოს გუშინ ტაირონ ელისი, ნატურალიზებული ამერიკელი შეემატა, ვინც 10 დღის წინ ცოლი მოიყვანა და ხანმოკლე თაფლობის თვის შემდეგ ჩვენი ნაკრებისთვისაც მოიცალა. შილდსის გუნდი მეექვსე დღეა, საფრანგეთის მყუდრო ქალაქ პოშია და პორტუგალიური ტურნირისთვის, ზოგადად კი, საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ემზადება. ქართველებმა უკვე მოილიეს ბულგარული ოთხთა ტურნირი, სადაც მაკედონია და დანია დაამარცხეს, მასპინძლებთან კი ვერას გახდნენ. ამ და სხვა ამბებზე ნაკრების წევრი გიორგი მარკოიშვილი გვესაუბრება, რომელსაც გუშინ პოში შევეხმიანეთ...**



**— გიორგი, რა სიტუაციაა ნაკრებში, როგორ მიდის მზადების პროცესი?**

— ყველაფერი კარგადაა, თუმც პირადად ჩემზე ამას ვერ ვიტყვი. გუშინ, სალამოს ვარჯიშზე ტრავმა მივიღე და ჯერ არ ვიცი, რამდენად სერიოზულია. სათამაშო ეპიზოდი იყო და ფეხის კუნთში მომარტყეს. დღეს ვერ ვივარჯიშე და ვნახოთ, რა იქნება.

**— ექიმმა რა გითხრა?**

— ზუსტი დიაგნოზი ჯერ არაა დადგენილი. ზაზა ფაჩულიამ მითხრა, „ატლანტაში" ჩემს გუნდელსაც ასე შეემთხვა და ორი თვე გაუცდაო. იმედი მაქვს, იმ ატლანტელის ბედს არ გავიზიარებ და მოედანს მალე დავუბრუნდები.

**— სხვებსაც ხომ არაფერი აწუხებთ?**

— ჩემს ძმა მანუჩარსაც ფეხი სტკივა, თუმცა მისი მდგომარეობა უკვე ცნობილია და სულ მალე მზადყოფნაში იქნება. მანომ ბულგარული ტურნირის ბოლო მატჩში, დანიასთან იტკინა ტერფი და გუშინ პირველად ივარჯიშა. გიორგი შერმადინმაც გუშინ ივარჯიშა, მანამდე მას მუხლი სტკიოდა. დანარჩენები მწყობრში არიან.

**— ვინმე ხომ არ შეგემატათ?**

— ტაირონ ელისი დღეს ჩამოვიდა და სალამოს უკვე ივარჯიშებს. ნიკა ცქიტიშვილის და ვლადიმერ ბოისას ჩამოსვლის თარიღი ჯერ უცნობია. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი.

**— გავიგეთ, ვახტანგ ნაცვლიშვილი ისრაელშიაო...**

— ჰო, ვატო ისრაელში წავიდა და ნაკრებს პირდაპირ პორტუგალიაში შეუერთდება. არ ვიცი, რა მიზეზით წავიდა იგი ისრაელში.

**— პოში როგორ პირობებში ხართ?**

— „პო ორტეზის" ბაზაზე ვართ, საკმაოდ კარგ პირობებში. არის მშვენიერი დარბაზი, ფიტნეს-კლუბი, საუნა და შესანიშნავი კვება. ჩამოსვლის დღიდან სულ ორჯერადი ვარჯიშებია და უწინდელზე გაცილებით უკეთეს ფორმაში ვართ.

**— პორტუგალიაში როდის მიდიხართ და თუ არის ცნობილი, ვის მაგივრად ჩაჯდება ნაკრებში ტაისონ ელისი?**

— შემადგენლობა პორტუგალიაში წასვლამდე გაირკვევა. მხოლოდ ელისი შემოგვემატა და ალბათ ერთ რომელიმე მოთამაშეს მწვრთნელი თბილისში გაუშვებს. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთ დროს მივიღე ტრავმა, თუმც იმედი ჯერ არ დამიკარგავს და თუ ხვალიდან ვარჯიშს შევძლებ, ვეცდები, ნაკრებში ადგილი შევინარჩუნო. პორტუგალიაში 3 აგვისტოს მივდივართ, თუმცა, ჯობდა ერთი დღით ადრე წავსულიყავით, მაგრამ თვითმფრინავის ბილეთებს ვეღარ ვცვლით. საქმე ისაა, რომ სადაც უნდა ჩავიდეთ, პორტუდან თითქმის 8 საათის სავალზეა. არადა, აქამდე ვიცოდით, რომ პორტუდან ავტობუსით 40 წუთი უნდა გვემგზავრა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ორგანიზატორებმა ტურნირი სხვა ქალაქში გადაიტანეს.

**— შილდსი როგორ ხასიათზეა, კმაყოფილია ნაკრების მზადყოფნით?**

— მწვრთნელი სულ სერიოზულია, თუმც უკმაყოფილო არ უნდა იყოს. ბულგარეთში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, მხოლოდ მასპინძლებთან წავაგეთ, ისიც ახალი შეკრებილები ვიყავით. ახლა ნაკრებს მომატებული აქვს, თან ელისიც დაგვემატა და პორტუგალიაში ალბათ უკეთ ვითამაშებთ.



ტაირონ ელისი
ნაკრებს პოში შეუერთდა

**P.S.** გუშინვე შევიტყვეთ, რომ ნიკა ცქიტიშვილი, სავარაუდოდ, 10 ივლისს შეუერთდება ნაკრებს. ეს ინფორმაცია „ცქიტოს" დამ ნინომ მოგვაწოდა, რომელმაც გვითხრა, ნიკა ახლა დენვერშია, იქ ვარჯიშობს, თავის საკლუბო საქმეებითაა დაკავებული და საფრანგეთში 10 აგვისტოს ჩავაო.

**ირაკლი ბერტაია**

ნიჩბოსნობა

# ქარვის ნიჩბებით ეროვნებათა თასზე

**გლაზგოში გამართულ აკადემიურ ნიჩბოსანთა ეროვნებათა თასის გათამაშებაში, რომელშიც 23 წლამდე ასაკის სპორტსმენები გამოდიოდნენ, მცხეთელმა ძმებმა ლაშა და გიორგი ხიზანიშვილებმა წყვილმოსასმელიანი ნავებით მეცამეტე ადგილი დაიკავეს, ხოლო მათი თანაქალაქელი კახა კანდელაკი და გიორგი ელყანიშვილი გასაშლელი ორადგილიანით მეთერთმეტეზე გავიდნენ. კარგია ეს თუ ცუდი? ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს ნიჩბოსანთა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გიორგი ნიკურაძეს, რომელიც წლების წინათ ამ სახეობაში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი იყო**



კახა კანდელაკისა და გიორგი ელყანიშვილის წყვილი (წინა პლანზე) გლაზგოს ეროვნებათა თასზე

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში ასეთი ადგილები ჩვენი ნიჩბოსნებისთვის სანატრელი იყო, გლაზგოური შედეგები კარგად უნდა შეფასდეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხიზანიშვილები და კანდელაკი სამი, ხოლო ელყანიშვილი ორი წლით უფროსებს ეჯიბრებოდნენ. მათი გამოსვლები სამომავლოდ იმედისმომცემია, რადგან ახლა დავრწმუნდით, რომ მათ დიდების მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრძოლაც ძალუძთ. ეს ჩემპიონატი სამიოდე კვირის მერე მიუნხენში დაიწყება და იქ პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც გათამაშდება. ჩვენი ნიჩბოსნები გლაზგოური შედეგების გამეორების შემთხვევაში ლიცენზიებს დაეუფლებიან.

**— კი მაგრამ, მიუნხენში მათ ხომ გაცილებით უფროს და მეტ მეტოქესთან მოუწევთ ბრძოლა?**

— გლაზგოში თითქმის ყველა უძლიერესი გამოდიოდა, რადგან მოწინავე ნოჩბოსნები ძირითადად სწორედ 23 წლისანი არიან. ასე რომ, ჩვენს ნიჩბოსნებს პრაქტიკულად იმავე მეტოქეებთან მოუწევთ ბრძოლა. ამასთან, იმედია, ისინი ფსიქოლოგიურად უკეთ იქნებიან განწყობილნი, რადგან გლაზგოში მათ თავიანთი ძალა და შესაძლებლობანი ირწმუნეს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ნიჩბოსნებმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში დიდი პროგრესი განიცადეს. მაგალითად, ხიზანიშვილებმა, რომლებიც მამის, აკაკი ხიზანიშვილის მეთვალყურეობით ვარჯიშობენ, ერთი თვის წინათ ლიტვაში 12 ქვეყნის მეტოქეებთან „ქარვის ნიჩბებისთვის" ბრძოლაში ყველას აჯობეს. იმავე პერიოდში ტამპერეში გამართულ ჭაბუკთა და უფროსთა რეგატებში ზურაბ იმნაძის აღსაზრდელმა, თბილისელმა მიხეილ ეჯოშვილმაც ვერცხლის მედლები მოიპოვა, რაც ასევე ძალიან სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

**— მაინც, რამ განაპირობა ეს პროგრესი?**

— შარშან ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში ჩვენი მონდომება რომ დაინახეს, ექვსი ახალი, თანამედროვე ნავი თავისი თექვსმეტი ნიჩბით გვაჩუქეს და ერთი არგომეტრიც ზედ მოაყოლეს. ამ ნავებიდან სამი ერთადგილიანი და სამიც ორადგილიანია. მანამდე ჩვენი ნიჩბოსნები, როგორც იტყვიან, ადამისდროინდელი, სამუზეუმო ნავებით ვარჯიშობდნენ. ამიტომაც ერთ ადგილს ტკეპნიდნენ. ახალმა ნავებმა, საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერამ კი, როგორც ვნახეთ, ნაყოფი გამოიღო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**




# გზა დაგვილოცეთ!

## ლელოები თბილისს საზეიმოდ ემშვიდობებიან

**დასრულდა** საქართველოს ეროვნული ნაკრების მსოფლიო თასის წინა შეკრება საქართველოში. ჩვენი „ლელოები" 3 აგვისტოს საფრანგეთში მიემგზავრებიან. თბილისური შეკრების ძირითადი აქცენტი ნაკრების ფიზიკურ მომზადებაზე იყო გადატანილი. ვარჯიშები საფრანგეთიდან მოწვეულ ფიტნეს-მწვრთნელ ნიკოლა ფულკიეს ზედამხედველობით მიმდინარეობდა. 3-17 აგვისტოს ეროვნული ნაკრები ქალაქ აჟენში გააგრძელებს მზადებას, სადაც გუნდი რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრასაც გამართავს, მათ შორის ფიჯის ეროვნულ გუნდთან. 31 ივლისს, საღამოს ცხრის ნახევარზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება საქართველოს ეროვნული ნაკრების 2007 წლის მსოფლიო თასზე გაცილების საზეიმო ცერემონია. ამასთან დაკავშირებით კაფე „მსოფლიო სპორტში" ჩატარდა პრესკონფერენცია, სადაც ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტებმა ნიკოლოზ ლაზიშვილმა და გია ნიჟარაძემ, ნაკრების მენეჯერმა ვასილ აბაშიძემ, კაპიტანმა ილია ზედგინიძემ, სპორტის დეპარტამენტის თავჯდომარის მოადგილემ გია გალდავამ და რაგბის კავშირის პრესსამსახურის უფროსმა თამუნა ფირცხალაიშვილმა

*ილია ზედგინიძე:* საქართველოს ნაკრებმა გაიარა ნაყოფიერი სამკვირიანი შეკრება. მართალია, ძალიან რთული ვარჯიშები გვქონდა, მაგრამ ყველანი კმაყოფილები ვართ. გუნდში იმედიანი და ხალისიანი განწყობაა, უკლებლივ ყველა მოთამაშე მწყობრშია. რამდენიმე მორაგბემ მიიღო უმნიშვნელო ტრავმა, რაც ასეთი მძიმე დატვირთვების დროს ჩვეულებრივი ამბავია.

**— რა განსხვავებაა 2003 წლის მსოფლიოს თასის წინა მოსამზადებელ ეტაპსა და წლევანდელს შორის და რას იტყვით ახალი ფიზმომზადების მწვრთნელის შესახებ?**

— წინა მსოფლიოს თასის შემდეგ ყველა ჩვენგანი გაიზარდა, როგორც მორაგბე და უფრო კარგად ხვდება, თუ რას ითხოვს მისგან მწვრთნელი. რაც შეეხება პირობებს, მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენ მართლაც საუკეთესო პირობები შეგვიქმნა და ზოგადად საქართველოს ნაკრების გარშემო შექმნილი სიტუაცია წელს განსაკუთრებით ოპტიმალურია. ნიკოლა ფულკიეს კი წინამორბედთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ პროფესიული რაგბი უთამაშია, და უფრო ერკვევა სპეციფიკურ საკითხებში.

**— როდის დასახელდება ნაკრების 30-კაციანი შემადგენლობა?**

— 14 აგვისტოს სამწვრთნელო შტაბი დაასახელებს გაფართოებულ შემადგენლობას.

*გია ნიჟარაძე:* მინდა, მომენტით ვისარგებლო და მასმედიის საშუალებით საქართველოს მთელ მოსახლეობას მოვუწოდო, რომ 31 ივლისის საღამოს მოვიდნენ „ლოკომოტივის" სტადიონზე, რათა ერთად გავაცილოთ საქართველოს ეროვნული გუნდი საფრანგეთში. დაგეგმილი გვაქვს რამდენიმესაათიანი შოუპროგრამა — ვეტერანი მორაგბეების ამხანაგური თამაში, წარმოდგენა ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების ხრიდოლის მიმდევრებისა და ნაკრების მორაგბეების შესრულებით, ანსამბლ „ფესვების" გამოსვლა. შოუპროგრამას დაასრულებს ნიაზ დიასამიძე და ჯგუფი „33ა". კონცერტი უფასოა. ვთხოვ ყველას, მობრძანდეს და თავისი სიყვარული გამოხატოს ქართული რაგბის მიმართ. სტადიონზე ასევე მოეწყობა ახალი საგულშემატკივრო მაისურის პრეზენტაცია, რომელზეც გამოხატულია სლოგანი — „ქართული ენერგიით". ასევე მივმართავ კომპანიებსა და ბიზნესმენებს — არც ეროვნულ ნაკრებს და არც სამსოფლიოთასო მატჩების ტრანსლიაციას არ გააჩნია გენერალური სპონსორი. რაგბის კავშირიც და საზოგადოებრივი მაუწყებელიც მზადაა მოლაპარაკებებისთვის. ბიზნესის სფეროს საშუალება ეძლევა, მთელი ქართული აუდიტორიის წინაშე რეკლამა გაუკეთოს თავის ბრენდს და ნამდვილი მამულიშვილური საქმეც გააკეთოს.

*თამუნა ფირცხალაიშვილი:* მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა ჟურნალისტს ჩვენთან თანამშრომლობისთვის, ხოლო დღეიდან რაგბის კავშირს ახალი პრესცენტრის ხელმძღვანელი ეყოლება, გიორგი მამარდაშვილი.

**ზურაბ მიგრიაული**



ილია ზედგინიძე



# ბელგრადში ყველაფერი ვერ იფესტივალა

**ბელგრადში გამართულ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელთა მიერ ნაჩვენებ შედეგებზე ყოველდღიურად ვიუწყებოდით, დღეს კი გთავაზობთ ინტერვიუს ოლიმპიურ სოფელში ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელ *გიორგი ესაკიასთან***

— როგორ შეაფასებდით ამ ფესტივალზე საქართველოს დელეგაციის შედეგებს?

— საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ორ-ორი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი და საერთო ჯამში დაკავებული მეთექვსმეტე ადგილი, ვფიქრობ, ურიგო არ უნდა იყოს. ეს ის საშუალო მაჩვენებელია, რომელსაც ჩვენი სპორტსმენები ამგვარ ფესტივალებზე აღწევენ. ჩვენს უკან დარჩნენ მოსახლეობის რაოდენობითა და ტერიტორიებით საქართველოზე დიდი და ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყნები, მათ შორის სლოვაკეთი, შვედეთი, ესპანეთი, თურქეთი, პორტუგალია, შვეიცარია, დანია, ბულგარეთი, ავსტრია, ჩეხეთი, საბერძნეთი, ნორვეგია და სხვა მრავალი, ბევრი სახელმწიფოს სპორტსმენები კი შინ საერთოდ უმედლოდ დაბრუნდნენ.

**— უკეთ გამოსვლა თუ შეიძლებოდა?**

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მაგალითად, ჩვენმა გიორგი ბედოშვილმა ბადროსა და ბირთვის კვრაში შესაბამისად მერვე და მეოთხე ადგილები დაიკავა მაშინ, როცა მისგან მედალს ელოდნენ, მაგრამ ბელგრადში გამგზავრებამდე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში შეჯიბრებისას დაშავდა და ფესტივალზე ხელი მოეცარა.

ოქროს მედალს ველოდით ძიუდოისტ გიორგი მერმანიშვილისგან, მაგრამ იგი მესამე ადგილზე გავიდა, ვაჟა დაბრუნდაშვილი კი ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში დამარცხდა, თუმცა მსგავსი ამბები სპორტში ხშირია. ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც გეგმავ. ამიტომაც ჩვენს ძიუდოისტ ვაჟებზე აუგი ვერ დაგვცდება, მით უმეტეს, საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდნენ.

**— ის კი, ალბათ ძალიან მოულოდნელი იყო, რომ მათ აზერბაიჯანელებმა აჯობეს. საერთოდაც, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი მეზობლები ექვს ოქროს მედალს მოიპოვებდნენ და საერთო კომპლექსურ ჩათვლაში მეექვსე ადგილზე გავიდოდნენ მაშინ, როცა წინა ფესტივალებზე მათთვის მედლები სანატრელი იყო, მით უმეტეს, ოქროს ჯილდო.**

— საერთოდ, ბოლო წლებში აზერბაიჯანელები ძალზე ზრუნავენ სპორტის განვითარებისთვის და უამრავ სპორტულ სარბიელს აშენებენ როგორც ბაქოში, ისე სხვა ქალაქებში. ამასთან, ამ ბაზებს მსოფლიოს სტანდარტების დონეზე აკეთებენ, უცხოელ მწვრთნელებსაც საკმაოდ იწვევენ და ახლა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზეც კი ფიქრობენ. და მაინც, აზერბაიჯანელ ძიუდოისტთა წარმატების საიდუმლო მხოლოდ ეს არ ყოფილა. როგორც ჩვენი მწვრთნელები ამბობდნენ, მათ ბელგრადში გადაზრდილი სპორტსმენები ჩამოიყვანეს...

**— ეს კი ნამდვილად საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ერთმა ჩვენმა აზარბაიჯანელმა კოლეგამ გვითხრა, ამ ზამთრს ჩვენთან გამართულ ძიუდოისტ გოგონათა ტურნირზე მასპინძლებმა საქართველოს გუნდი არ დაუშვეს, რადგან ასაკს გადაცილებული სპორტსმენები ჩამოიყვანეთო.**

— ამაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ საქმის არაფერი ვიცი. რაც შეეხება ბელგრადში მოასპარეზე ჩვენს ძიუდოისტ გოგონებს, ამ გაზაფხულზე გუნდის ხელმძღვანელობის დაპირების მიუხედავად, მათ ვერაფერს მიაღწიეს და პირველივე შეხვედრები წააგეს. ერთადერთი დიანა ნანიევი იყო, რომელმაც მარცხის შემდეგ დამამშვიდებელ ტურნირზე ბრძოლა განაგრძო, მაგრამ ისევ წააგო.

**— სხვა სახეობების წარმომადგენელთა გამოსვლებზე რისი თქმა შეიძლება?**

— აბა, რა უნდა ითქვას, როცა ჩვენმა მაგიდის ჩოგბურთელებმა ყველა შეხვედრა წააგეს, ვერც ველოსიპედისტებმა იასპარეზეს უკეთ და ვერც ცურვასა და ტანვარჯიშში გამოვედით კარგად. ერთადერთი გამონაკლისი ჩოგბურთელების — ეკატერინე გორგოძისა და გიორგი ხმიადაშვილის — წყვილი იყო, რომელმაც ჩვენს ძიუდოისტებს მხარი აუბა და შერეულ წყვილებში ოქროს მედალი მოიპოვა, გორგოძემ კი ერთეულთა თანრიგში ვერცხლიც დაიმსახურა.

**ავთანდილ ბუყიშელი**



ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიალი

# ვიღაცამ პიკასოს ნახატი მოიპარა

## უცი, ასო და გაჭყლეტილი რასმუსენი

**7 ივლისს** ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე დაწყებული რბოლა გასულ კვირას პარიზში, ელისეს მინდვრებზე დასრულდა. „დიდი მარყუჟი“ კიდევ ერთხელ შეიკრა და ამით ლეგენდარული „ტურ დე ფრანსის“ ისტორიაში 94-ე ფურცელი ჩაიწერა.

„ტური“ დასრულდა. გამარჯვებულნი ცნობილნი არიან, მაგრამ ვნებები არ ცხრება და კიდევ კარგა ხანს არ დაცხრება, რადგანაც წლევანდელი „ტური“, ალბათ ყველაზე სკანდალური იყო მთელს მის ისტორიაში.

ალბერტო კონტადორს არავინ არაფერს ერჩის. მისი ბრალი არ არის, მიქაელ რასმუსენი რბოლიდან რომ მოკვეთეს. 24 წლის ესპანელი ღირსეული ჩემპიონია, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ სამი წლის წინ მან საშინელი ტრავმა მიიღო, თავით დაენარცხა ასფალტზე და ურთულესი ოპერაციის შემდეგ ნამდვილად ვერ იფიქრებდა, სამი წლის შემდეგ ელისეს მინდვრებზე ტრიუმფატორი თუ იქნებოდა.

კონტადორს დიდებული სეზონი აქვს: მოიგო უაღრესად პრესტიჟული ერთკვირიანი რბოლა „პარიზი-ნიცა“, შემდეგ ექსპეტაპა „კასტილიისა და ლეონის ვუელტა“ და ამ ყველაფერს მთლად წარმოუდგენელი გამარჯვება, „ტურ დე ფრანსი“ დაადგა გვირგვინად.

ამერიკული ველოგუნდის, „დისქავერის“ ლეგენდა, „ტურის“ შვიდგზის ტრიუმფატორი ლენს არმსტრონგი პარიზში თავად დაესწრო თავისი ძველი გუნდის ახალი ვარსკვლავის ტრიუმფს და აღფრთოვანებას ვერ მალავდა, ასე ამბობდა, ალბერტო ესპანური და საერთოდ, საერთაშორისო ველოსპორტის მომავალიაო.

მომავალზე რა მოგახსენოთ და დღევანდელი დღე კი, სწორედ კონტადორისაა, რადგანაც ველოსამყაროში არ არსებობს „ტურის“ მოგებაზე დიდი წარმატება. მით უმეტეს, როდესაც ამას 24 წლის ასაკში აკეთებ და ყვითელ მაისურასთან ერთად საუკეთესო ახალგაზრდის სარგო თეთრი მაისურაც შენია.

კონტადორს არავინ არაფერს ერჩის და მაინც, უნდა გავიხსენოთ მიქაელ რასმუსენი, ვისაც ტრიუმფამდე ოთხი დღით ადრე ძალით გახადეს ესოდენ სასურველი ყვითელი მაისურა.

„მე არასოდეს მიმიღია დოპინგი. უბრალოდ, საზოგადოებრივი აზრი ისე აეწყო, რომ თუ ყვითელი გაცვია, ესე იგი, მთლად სუფთა არა ხარ — განუცხადა დანიელ ჟურნალისტებს 33 წლის რასმუსენმა და ტკივილნარევი სიტყვები დაამატა — ყოველ დილით იმ ტკივილით ვიღვიძებ, რომ ვიღაცამ „ტურ დე ფრანსის“ მოგების საშუალება არ მომცა, წამართვა რბოლა, რომელიც ისტორიაში ჩემი სახელით შევიდოდა. ეს იგივეა, ვიღაცამ პიკასოს ნახატი რომ მოიპაროს. მე ვცდილობდი, ჩემი ორგანიზმისგან მაქსიმუმი გამომეწოვა და ამ დროს ყველაფერი წამართვეს“.

მიქაელ რასმუსენი დანებებას არ აპირებს. არა, წლევანდელ, უკვე დაკარგულ „ტურს“ მას აღარავინ დაუბრუნებს, მაგრამ... „მე სუფთა ვარ და, თუ 2008 წლის „ტურ დე ფრანსზე“ გამოსვლის საშუალება მომეცემა, ამ შანსს აუცილებლად გამოვიყენებ“.

ამასობაში კი უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირსა (UCI) და „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორებს შორის.

ჰოლანდიური „რაბობანკის“ მიერ მიქაელ რასმუსენის რბოლიდან მოკვეთისა და მასთან კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ, ერთის მხრივ UCI-ის ირლანდიელმა პრეზიდენტმა პიტერ მაკუეიდმა და მეორეს მხრივ „ტურის“ დირექტორმა კრისტიან პრუდომმა და „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორის, კომპანია ASO-ს პრეზიდენტმა პატრის კლერკმა ერთმანეთის მიმართ მკვახე სიტყვები არ დაიშურეს.

„უაღრესად უკმაყოფილო ვარ UCI-ის ქმედებებით. ისინი რომ თავიანთი დებულების მიხედვით მოქცეულიყვნენ, ეს სკანდალი არატყდებოდა“ — განაცხადა პრუდომმა და ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ რასმუსენმა სუპერრბოლის დაწყებამდე 45 დღის მანძილზე, თურმე არასაშეჯიბრო დოპინგ-ტესტი არ გაიარა, ამის შესახებ კი კავშირის შეფებმა ყველაფერი იცოდნენ და არც „ტურის“ ორგანიზატორები გააფრთხილეს და, რაც უმთავრესია, არც რასმუსენს აუკრძალეს რბოლაში გამოსვლა, რაც დებულებით უნდა გაეკეთებინათ.

„რაც შეეხება მიქაელ რასმუსენს, მის შესახებ ინფორმაცია დანიის ველოსპორტის ფედერაციას „ტურის“ ორგანიზატორებზე, გაცილებით ადრე ჰქონდა. მიქაელს არაფერი დაუშავებია გარდა იმისა, რომ თქვა, მხოლოდ ერთი არასაშეჯიბრო ტესტი გავაცდინეო, მაშინ, როდესაც დანიის ფედერაციის ინფორმაციით, უფრო მეტ ტესტზე იყო ლაპარაკი. ამის მიუხედავად, „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე 45 დღის განმავლობაში, როგორც ამას ჩვენი დებულება ითხოვს, რასმუსენმა ორი არასაშეჯიბრო ტესტი ჩააბარა და ორივე შემთხვევაში პასუხი უარყოფითი იყო. გარდა ამისა, თავად „ტურის“ მსვლელობისას ათზე მეტჯერ აუღეს ანალიზი და ყველას პასუხი, აგრეთვე უარყოფითი იყო. მიქაელი სუფთაა. ასე მგონია, რომ ეს ხალხი ზედმეტად გაერთო თავის საქმეში. ერთგვარი პარანოია დაიწყო. მათ მოეჩვენათ, რომ რაღაც ნახეს და საკუთარი თავი დაარწმუნეს, რომ მართლა ნახეს“ — ეს, უკვე UCI-ის პრეზიდენტის პიტერ მაკუეიდის სიტყვებია და ამ სიტყვებს უმალ გამოეპასუხა ASO-ს პრეზიდენტი პატრის კლერკი, რომელმაც კავშირის ხელმძღვანელობა, პრუდომის მსგავსად, ფაქტების შეგნებულად დამალვაში დაადანაშაულა და ბრძანა, UCI-ის მიზანი „ტურისა“ და სხვა სუპერრბოლების („ჯირო დიტალია, „ვუელტა ესპანა“) დისკრედიტაცია და ამ გზით მათზე ძალაუფლების მოპოვებააო.

„ჩვენ ვითანამშრომლებთ ვადასთან (მსოფლიო ანტისადოპინგო სამსახური) და ეროვნულ ფედერაციებთან, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ ჩვენს საქმეში UCI ერეოდეს. „ტურ დე ფრანსი“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავარდეს UCI-ის ხელში“ — დაასკვნა ASO-ს პრეზიდენტმა.

მაკუეიდი კი მაინც თავისას აწვება, „ტური“ ცალკეული პიროვნებების არ არის, ყველასია და ყველამ ერთად უნდა მოვუაროთო. მოუარონ. ჩვენც ეს გვინდა, მაგრამ მიქაელ რასმუსენმა რა დააშავა...






პიტერ მაკუეიდისა და პატრის კლერკის დავაში მიქაელ რასმუსენი გაიჭყლიტა




# ლევის ნახტომი

## კონტადორი უკვე მეორეა

**სეზონის** უმთავრესი სუპერრბოლის, რიგით 94-ე „ტურ დე ფრანსის“ დასრულებისთანავე ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) და მის მიერ ორგანიზებულმა პრო-ტურის სერიამ გამოაქვეყნეს ახალი რეიტინგები.

მრბოლთა კლასიფიკაციას სათავეში კვლავაც „ჯირო დიტალიას“ მომგები იტალიელი დანილო დი ლუკა უდგას, თუმცა მისი უპირატესობა ისე შთამბეჭდავი აღარ არის — „ლიქუიგასის“ მრბოლს 16 ქულითღა ჩამორჩება ესპანელი ალბერტო კონტადორი, რომელმაც „ტურზე“ გამარჯვების წყალობით მეცამეტედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

მეშვიდედან მესამე ადგილზე აიწია „ტურის“ ვიცე-ჩემპიონმა, ავსტრალიელმა კედელ ევანსმა, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი ნახტომი, მაინც „ტურის“ მესამე პრიზიორს, ამერიკელ ლევი ლეიფჰემერს გამოუვიდა, ვინც ერთბაშად 165 საფეხურით დაწინაურდა და 170-ე ადგილიდან მეთხუთმეტეზე აღზევდა.

23-დან მეთერთმეტე საფეხურზე აიწია „ტურის“ საუკეთესო სპრინტერმა, ბელგიელმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტომ ბოონენმა. ბოონენისა და ლეიფჰემერის წინსვლის შედეგად ტოპ-ოცეული დატოვეს იტალიელმა პაოლო სავოლდელიმ და ესპანელმა ხუან ხოსე კობომ.

პირველ ოცეულში ყველაზე მეტი, ოთხი მრბოლი კვლავაც იტალიელებს ჰყავთ. ესპანეთი, ავსტრალია და ლუქსემბურგი მოწინავეთა შორის სამ-სამი ველოსიპედისტით არიან წარმოდგენილნი, რუსეთი — ორით, ხოლო საფრანგეთი, ბელგია, აშშ, გერმანია და ყაზახეთი თითო მრბოლით იწონებენ თავს.

გუნდებს რაც შეეხება, დანიურ CSC-ის პირველ ოცეულში სამი მრბოლი ჰყავს, იტალიურ „ლიქუიგასს“, ბელგიურ „ლოტოს“, ესპანურ „კაისე დეპარნის“, გერმანულ „გეროლშტაინერსა“ და ჰოლანდიურ „რაბობანკს“ — ორ-ორი, კიდევ შვიდი გუნდი კი თითო კაცით არის წარმოდგენილი.

აქვე გეტყვით, რომ პრო-ტურის სერიის მორიგი სარეიტინგო რბოლა, ერთდღიანი „კლასიკა სან სებასტიანი“, უკვე ამ შაბათს გაიმართება, ხოლო 10-18 აგვისტოს „გერმანიის ტური“ ჩატარდება.

### პრო-ტურის რეიტინგი

**მრბოლები**

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი“) | 207 |
| 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი“) | 191 |
| 3. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“) | 174 |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დეპარნი“) | 165 |
| 5. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი“) | 157 |
| 6. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი“) | 129 |
| 7. ვლადიმირ კარპეცი (ესპანეთი, „კაისე დეპარნი“) | 115 |
| 8. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) | 112 |
| 9. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) | 95 |
| 10. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | 88 |
| 11. ტომ ბოონენი (იტალია, „ქვიკ სტეპი“) | 87 |
| 12. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 86 |
| 13. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 81 |
| 14. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) | 79 |
| 15. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი“) | 77 |
| 16. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | 76 |
| 17. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, „ასტანა“) | 74 |
| 18. რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო“) | 74 |
| 19. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი“) | 71 |
| 20. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი“) | 69 |

**გუნდები:** 1. CSC (დანია) 264 ქულა; 2. დისქავერი (აშშ) 226; 3. ლიქუიგასი (იტალია) 222; 4. კაისე დეპარნი (ესპანეთი) 220; 5. სონი დიუვალი (ესპანეთი) 217; 6. AG2R (საფრანგეთი) 215; 7. ასტანა (ყაზახეთი) 207; 8. რაბობანკი (ჰოლანდია) 192; 9. ქვიკ სტეპი (ბელგია) 175; 10. ლოტო (ბელგია) 174.

**ქვეყნები:** 1. იტალია 613 ქულა; 2. ესპანეთი 570; 3. ავსტრალია 412; 4. ლუქსემბურგი 296; 5. გერმანია 273; 6. რუსეთი 238; 7. ბელგია 207; 8. აშშ 172; 9. ჰოლანდია 160; 10. ყაზახეთი 157.



# სამინისტროში ზავი დაიდო

**ჩოგბურთის** ფედერაციის სადღეისოდ დაგეგმილი რიგგარეშე ყრილობა აღარ გაიმართება. პრეზიდენტ ლეილა მესხის მუშაობით უკმაყოფილო მხარემ ორი კვირის წინ მიღებული გადაწყვეტილება ქართული სპორტის ჩინოსნებთან საუბრების შემდეგ შეცვალა. ყრილობის გაუქმების შესახებ ინფორმაცია გუშინ კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გიორგი გაბაშვილისგან შევიტყვეთ. სამინისტროში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების პირისპირ გაბაშვილის გარდა ლეილა მესხი, კომპანია „ქართული ჩოგბურთის“ პრეზიდენტი დავით ლანჩავა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური წარსდგნენ.

„სრული შეხმატკბილება და ერთი აზრი არც ერთ წრეში არაა. ჩოგბურთის ფედერაციაში განვითარებული მოვლენებიც ჩვეულებრივი ამბავი იყო. მთავარი ისაა, რომ ორივე მხარემ თავიდანვე სწორი გადაწყვეტილება მიიღო და საჭიროდ ჩათვალა, საქმეში ჩვენ ჩავრეულიყავით. შეიძლებოდა, დაპირისპირებას ჩოგბურთის სამყაროსთვის ზიანი მოეტანა. ყრილობა აღარ ჩატარდება. ეს ერთად გადავწყვიტეთ ორივე მხარესთან ვითანამშრომლებთ, ვიცით რა, რომ მათი მთავარი საფიქრალი ქართული ჩოგბურთის წინსვლაა. ყველა საკითხზე ერთად ვიმსჯელებთ“ — გვითხრა მინისტრმა.

დაპირისპირებულმა მხარეებმა კი მოკლე და იდენტური კომენტარები გააკეთეს. საქმეში სახელმწიფოს ჩარევით მესხიც კმაყოფილი დარჩა და ლანჩავაც.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

# ახალი ტურნირი ძველი სახეებით: მერიაში პირველი კაცი სეროვიჩია

**კვირას** იან ჰომერის სახელობის კორტებზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჩატარებული კაცთა 15-ათასიანი ტურნირი, „კოკა კოლას თასი“ ლადო ჩიხლაძის გამარჯვებით დასრულდა და კვირასვე ანალოგიური მეორე შეჯიბრი დაიწყო, რომელსაც სახელად „მერიის თასი“ ჰქვია.

უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, კვირას მეორე ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყო, რომელიც გუშინ დასრულდა და გამოვლინდა იმ რვა ჩოგბურთელის ვინაობა, რომლებიც „მერიის თასის“ ძირითად ბადეში ითამაშებენ.

ძირითადი შეჯიბრი კი დღეს იწყება და შეიძლება ითქვას, რომ „მერიის თასზე“ ფაქტობრივად იგივე შემადგენლობა ითამაშებს, რაც „კოკა კოლას თასზე“ იყო. განსხვავება მხოლოდ ერთია, ამ შეჯიბრზე პირველ ნომრად ATP-ის რეიტინგის 451-ე ნომერი, ხორვატი ივან სეროვიჩია განთესილი და წინა შეჯიბრის პირველმა-მესამე ნომრებმა, რუსმა მიხაილ ელგინმა (493), ფრანგმა კლემენ მორელმა (525) და ლადო ჩიხლაძემ (543) განთესვისას თითო საფეხურით დაბლა, შესაბამისად მეორე-მეოთხე ნომრებზე დაიხიეს.

ამ ოთხეულის გარდა განთესილები არიან: უკრაინელი ვლადისლავ ბონდარენკო (590), ყაზახი სურუმ აბდუხალიკოვი (682), ჩეხი დანიელ ლუსტიგი (726) და ფრანგი შარლ როშე (755).

ძირითად ბადეში ჩიხლაძის გარდა კიდევ ხუთი ქართველია და ამათგან ოთხმა ეს უფლება ორგანიზატორთა ნებით, ანუ „უაილდ ქარდით“ მიიღო — გიორგი ჭანტურიამ, გიორგი ხრიკაძემ, რეზო ოსაძემ და ნიკა ქურდაძემ.

კიდევ ერთმა ჩვენებურმა ჯერალდ ოგანეზოვმა ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან გააღწია — ჯერ თურქ გოქაი სელიკს მოუგო 6:4 6:1, შემდეგ კი 6:0 6:3 სძლია ნიკოლოზ ბასილაშვილს, რომელმაც, თავის მხრივ, პირველ წრეში რუსეთის სახელით მოთამაშე ვლადიმერ გოგიტაშვილი დაჯაბნა.

სხვა ჩვენებური კვალიფიკანტებიდან ლაზარე კუხალაშვილმა, ალექსანდრე თავხელიძემ, გიორგი კემულარიამ, სერგო სიხარულიძემ, თემურ ძაგნიძემ, დემეტრე თაქთაქიშვილმა, კონსტანტინე ბურჭულაძემ და გიო ნავროზიშვილმა პირველივე წრეში წააგეს, ხოლო სიხარულიძის მძლეველი გიორგი რევაზიშვილი მეორე წრეში, უაღრესად დაძაბულ მატჩში 6:2 6:7 5:7 დამარცხდა რუს სტანისლავ ჟურავსკისთან.

ძირითადი ბადის წილისყრამ ასე ინება და პირველივე წრეში ორი ქართული დერბია — ბადის ზედა ნახევარში ქურდაძე ხრიკაძეს ხვდება, ხოლო ქვედაში — ჩიხლაძე ოგანეზოვს ჩაუტარებს გამოცდას. ჭანტურიას მეტოქე ებრაელი გუი კუბია, ოსაძე კი პირველ წრეში მე-5 ნომრად განთესილ უკრაინელ ბონდარენკოს შეხვდება.



ლადო ჩიხლაძე ზედიზედ მეორე თბილისური ტურნირის მოგებას ქმურება

# ანას ცუდი წილი: ლილი



ანა ტატიშვილი

**გამოცდილი** ამერიკელი ლილი ოსტერლოჰი, რომელიც ამ რამდენიმე წლის უკან WTA-ს რეიტინგის პირველი ორმოცდაათეულის წევრი იყო, ბოლო ხანებში გადაულახავ ბარიერად იქცა ანა ტატიშვილისთვის.

ამ ცოტა ხნის წინ თინეიჯერმა ქართველმა ცინცინატიში WTA-ს ეგიდით მიმდინარე შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპიც გაიარა და ძირითად ბადეში თამაშიც წარმატებით დაიწყო, მაგრამ მეორე წრეში ოსტერლოჰს შეხვდა და 5:7 1:6 დამარცხდა. ამჯერად ანა და ლილი გაცილებით მაღალი რანგის შეჯიბრზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. კალიფორნიაში, კერძოდ კი სან დიეგოში მილიონ 340-ათასიანი „აკურა კლასიკი“ დაიწყო და წილისყრამ ამერიკელი და ქართველი კვალიფიკაციის პირველ წრეში შეახვედრა ერთმანეთს. ისევ ოსტერლოჰმა იმარჯვა და ისევ ორ სეტში — 6:3 7:5.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოღონდაც რანგით გაცილებით დაბალ, ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირებზე კიდეც ორი ჩვენებური თამაშობს. უფრო სწორად, ამ ორიდან ერთიღა დარჩა — სოფო მელიქიშვილი, ვინც სენტ ჯოზეფის 10-ათასიან შეჯიბრზე განთესილთა შორის იქნება. რაც შეეხება სალომე დევიძეს, ის ვაშინგტონის ჰარდზე მიმდინარე 75-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას კვალიფიკაციიდან ცდილობდა, მაგრამ მეორე წრეში დამარცხდა.

საწყის შეხვედრაში სალომემ ადვილად — 6:1 6:1 სძლია 20 წლის ურეიტინგო ამერიკელ ჯესიკა კინერს, მაგრამ შემდეგ ველარას გახდა მეორე მასპინძელთან, 16 წლისა და კლასიფიკაციაში 998-ე ადგილზე მყოფ ჯეილ ბროდსკისთან — 6:3 6:1 ამერიკელის სასარგებლოდ.

საქართველოს პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი კი ჯერაც ევროპაშია და ამ კვირაში იტალიური რიმინის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 75-ათასიან ტურნირზე ითამაშებს.

მაკა ძირითად ბადეშია და მისი პირველი მეტოქე ტუნისელი სელიმა სფარი გახლავთ. 30 წლის სფარი მიმდინარე რეიტინგში 178-ე ადგილზეა, ხოლო კარიერას პიკი მას 2001 წელს ჰქონდა, როდესაც 75-ე პოზიციაზე იმყოფებოდა.

თუ ვეტერან არაბს მოუგებს, მერე ჩახნაშვილი ან მე-6 ნომრად განთესილ შვეიცარიელ ემანუელ გალიარდის შეხვდება, ანაც ბელარუს დარია კუსტოვას.

# კარლოს უმაგელი და რუსები ამერიკაში

**ქალები**
**სტენფორდი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 600 000 $**

**ფინალი**

**ანა ჩაკვეტაძე (1, რუსეთი) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:3 6:2**

ექვსი ფინალი, ექვსი ტიტული — ანა ჩაკვეტაძე ფინალებში ისევ დაუმარცხებელია, რაც მართლაც უნიკალური მოვლენა გახლავთ. ქართული ფესვების მქონე რუსმა ორ კვირაში მეორე ამერიკული ტიტული მოიხვეჭა, რითაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა თავის მშვენიერ სათამაშო ფორმაში.

ანას არ გაჭირვებია სანია მირზას დამარცხება — ჩაკვეტაძემ ამ ინდოელს ერთი კვირის წინაც მოუგო ცინცინატის ნახევარფინალში და არც ახლა დააყენა უკეთესი დღე. მეტიც, ამჯერად უფრო იოლად იმარჯვა და საქმე ორ სეტში მოათავა. მირზას მხოლოდ პარტიების დაწყებისას თუ გამოსდიოდა ხოლმე ასე თუ ისე თანაბარ დონეზე თამაში, ეგ იყო და ეგ — ანამ ორივეჯერ სპურტი 2:2-დან მოაწყო და ინდოელი აშკარად დაჯაბნა.

"ძალიან ცხელოდა და მინდოდა მალე მომემთავრებინა საქმე. სეტებს მძიმედ კი ვიწყებდი, მაგრამ საჭირო მომენტში ორივეჯერ მოვუმატე და ბედნიერი ვარ, ამან რომ გაამართლა. იმედია, ასე წარმატებულად თამაშს სხვა კორტებზეც გავაგრძელებ" — იმედიანად არის განწყობილი ჩაკვეტაძე, რომელიც რეიტინგში უკვე მეექვსე საფეხურამდე ალზევდა.

ამ გამარჯვების შემდეგ ანა მხოლოდ მესამე ჩოგბურთელია ჟუსტინ ენინისა და ელენა იანკოვიჩის შემდეგ, ვინც წლეულს ოთხი ტიტულის მოგება მოახერხა.

**კაცები**
**უმაგი. ხორვატია. თიხნარი**
**საპრიზო 353 450 €**

**ფინალი**

**კარლოს მოია (6, ესპანეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:4 6:2**

კარლოს მოიამ კარიერაში მე-20 და ამასთანავე მე-5 უმაგური ტიტული მოიპოვა. ესპანელი ვეტერანი მერვე წელია, მინიმუმ ერთ ტიტულს მაინც იგებს. სულ კი თავისი 13 წლიანი კარიერიდან 12-ის განმავლობაში მოია ერთ ტურნირს მაინც იგებს ხოლმე — გაგიკვირდებათ, მაგრამ პირინეელი უტიტულოდ მხოლოდ იმ სეზონში, ანუ 1999 წელს დარჩა, როცა რეიტინგს მცირე ხნით სათავეში ჩაუდგა.

თავისი 20 ტიტულიდან მოიამ 16 თიხნარზე მოიგო, ხორვატიულ გრუნტზე კი აგერ მეხუთედ იჩემპიონა. გარდა ამისა, უმაგში მოიას ერთი ფინალიც აქვს წაგებული გილერმო კორიასთან და ოთხგზის ნახევარფინალისტი იყო.

პაველთან ფინალში კი მოიას პრობლემა არ ჰქონია — რუმინელმა მხოლოდ პირველ სეტში იფაფხურა და იქაც ხეირიანი ვერაფერი დაუპირისპირა ესპანელს. მოიამ ოთხივე ბრეიკ პოინტი გაანეიტრალა, სამაგიეროდ სამი გამოიყენა და უმაგელ მაყურებელს უკვე მეხუთედ მოაწყობინა ოვაციები:

"რა თქმა უნდა, დიდებული შეგრძნებაა. ნამდვილად არ მეგონა, აქ ისევ თუ ვიმარჯვებდი, მაგრამ ამ კვირაში საკამოდ კარგად ვითამაშე. ერთი ტურნირის ხუთჯერ მოგება საკმაოდ კარგი მიღწევაა — ყოველ შემთხვევაში, მე ამით ვამაყობ".

მოქმედ ჩოგბურთელთა შორის კარლოს მოია მოგებული ტიტულებით მეხუთეა და მხოლოდ როჯერ ფედერერს (49), ლეიტონ ჰიუიტს (26), რაფაელ ნადალს (23) და ენდი როდიკს (22) ჩამორჩება.

**კაცები**
**ინდიანაპოლისი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 525 000 $**

**ფინალი**

**დმიტრი ტურსუნოვი (3, რუსეთი) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 6:4 7:5**

ინდიანაპოლისელმა ჩოგბურთის მოყვარულებმა გასული კვირა ენდი როდიკ-ჯეიმს ბლეიკის მოსალოდნელ ფინალზე ოცნებით დაიწყეს და ამის მაგივრად დმიტრი ტურსუნოვისა და ფრენკ დანსევიჩის ყურება მოუწიათ.

რუსმა კანადელის წაქცევას საათი და 17 წუთი მოანდომა და კარიერაში მეორე ტიტული გაინაღდა (აქამდე წლეულს მუმბაიში იხეირა). ტურსუნოვმა ორივე სეტში თითო ბრეიკ პოინტი გამოიყენა, საკუთარ მოწოდებაზე კი მეტოქეს ერთი შანსიც არ მისცა და ამის ხარჯზე დამაჯერებლადაც იმარჯვა.

„წინა კვირას ლოს ანჯელესში ჩაფლავების გამო აქაც არ ველოდი გამარჯვებას. მაგრამ ახლა ფსიქოლოგიურად კარგად ვარ მზად და წარუმატებლობის დავიწყება ადვილად შემიძლია, რის გამოც მომავალზე ვახდენ ხოლმე კონცენტრაციას. ახლაც ეგრე იყო და ამიტომაც ვიმარჯვე" — კმაყოფილი იყო ნამატჩევს ტურსუნოვი.

**ქახა ლომჯარიძე**



კარლოს მოიამ მეხუთე უმაგური ტიტული მოიპოვა

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ორშაბათს** გამოქვეყნებულ ჩოგბურთელთა ახალ რეიტინგებში საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა კიდევ ორი საფეხურით წინ წაიწია და კარიერის უმაღლეს, 134-ე ადგილს უწია. სხვა მხრივ, წინა რეიტინგებთან შედარებით რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა — ATP-ის კლასიფიკაციაში კვლავაც სამი ჩვენებურია, ხოლო WTA-ს ნუსხაში ცამეტი ქართველია მოხსენიებული და სოფო მელიქიშვილის 28 ადგილით დაქვეითებას თუ არ ჩავთვლით, დანარჩენები დაახლოებით ისევ იქ არიან, სადაც ერთი კვირის წინ იყვნენ.




**კაცები**

| | |
|---|---|
| 537 (+17) ლადო ჩიხლაძე | 43 |
| 812 (+10) ირაკლი ლაბაძე | 15 |
| 1338 (-5) ნოდარ ითონიშვილი | 2 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 134 (+2) მაკა ჩახნაშვილი | 244,0 |
| 289 (+2) ანა ტატიშვილი | 85,25 |
| 566 (+1) სალომე დევიძე | 25,5 |
| 608 (+1) სოფო შაფათავა | 22,0 |
| 681 (-28) სოფო მელიქიშვილი | 16,0 |
| 725 (-4) მანანა შაფაქიძე | 14,0 |
| 768 (+2) ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 781 (+5) ეკა გორგოძე | 12,0 |
| 948 (+11) სოფო ქვაცაბაია | 7,0 |
| 1042 (+10) თინა ყავლაშვილი | 5,0 |
| 1064 (+12) სალომე ჩაჩხუნაშვილი | 4,75 |
| 1237 (+12) მარიამ ქურდაძე | 2,75 |
| 1259 (+10) თეონა ცერცვაძე | 2,5 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5455 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3200 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3175 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 3165 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2695 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2085 |
| 8. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 2085 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1995 |
| 10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1975 |
| 11. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1940 |
| 12. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1885 |
| 13. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1865 |
| 14. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1840 |
| 15. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1675 |
| 16. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1535 |
| 17. ხუან კარლო ფერერო (ესპანეთი) | 1525 |
| 18. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1395 |
| 19. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1370 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1270 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 936 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 801 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 561 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 344 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 325 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 293 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 280 |
| 8. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 260 |
| 9. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 257 |
| 10. გილერმო კანასი (არგენტინა) | 256 |
| 11. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 252 |
| 12. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 248 |
| 13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 244 |
| 14. ტომი ჰაასი (გერმანია) | 240 |
| 15. კარლოს მოია (ესპანეთი) | 239 |
| 16. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 227 |
| 17. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 221 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 220 |
| 19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 214 |
| 20. ხუან მონაკო (არგენტინა) | 206 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4457 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3678 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3241 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2978 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2898 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2541 |
| 7. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2424 |
| 8. სერენა უილიამსი (აშშ) | 2325 |
| 9. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2002 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1957 |
| 11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1885 |
| 12. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1875 |
| 13. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1845 |
| 14. დინარა საფინა (რუსეთი) | 1742 |
| 15. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1699 |
| 16. ვინუს უილამსი (აშშ) | 1655 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1584 |
| 18. შაჰარ პეერი (ისრაელი) | 1539 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1357 |
| 20. ნა ლი (ჩინეთი) | 1159 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3245 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2990 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2431 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2161 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1910 |
| 7. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1785 |
| 8. ვინუს უილიასი (აშშ) | 1630 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1588 |
| 10-11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1421 |
| 10-11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1421 |
| 12. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1406 |
| 13. დინარა საფინა (რუსეთი) | 1336 |
| 14. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1288 |
| 15. შაჰარ პეერი (ისრაელი) | 1257 |
| 16. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1186 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1084 |
| 18. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1065 |
| 19. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 966 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 960 |

## მძლეოსნობა

# მეკურდღლე ჰოუს არჩევანი



**ოსაკას** მსოფლიოს ჩემპიონატზე სიგრძეზე ხტომაში ალბათ პანამელი ირვინგ სალადინო და ამერიკელი დუაიტ ფილიპსი იბრძოლებენ ოქროს მედლისთვის, მაგრამ დიდი შანსია, მათ დავაში იტალიელი ენდრიუ ჰოუიც ჩაერიოს. ევროპის ჩემპიონი რიგიან ფორმაშია და ამას მის მიერ მოგებული ათენის და რომის დიდრონი ტურნირები ადასტურებს. წლეულს ჰოუის საუკეთესო შედეგია 8,25-მეტრიანი ნახტომია და მიუხედავად იმისა, რომ ამ უქმეებზე ქალაქ პადუაში გამართულ მომცრო ტურნირზე იგი 8,40 მეტრზე გადახტა, სეზონის რეკორდად ის ძველი შედეგი დარჩება, რაკი ახლის მიღწევაში მას დასაშვებზე ძლიერი ზურგქარი დაეხმარა.

ჰოუი მაინც კმაყოფილი ჩანდა — ვგრძნობ, რომ საუკეთესო ფორმაში შევდივარ და იმედია, სულ მალე 8,60-ის ფარგლებშიც ვიხტუნავებ, რაც სულ ცოტა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლის გარანტიას მომცემსო — „ოსაკა ჩემი პრიორიტეტია და წლეულს სხვა არაფერზე ვფიქრობ, თანდათან შევდივარ კონდიციაში და უარს ვიტყვი ყველა დარჩენილ ტურნირზე, რომ ოსაკასთვის უკეთ მოვემზადო. ჩემპიონატი 25-ში იწყება, მაგრამ მე 12-ისთვის ჩავალ იაპონიაში და ქალაქ კობეში გავივლი აკლიმატიზაციას“.

ჰოუიმ მოსამზადებელ ვარჯიშად ჩათვალა, პადუაში 200 მეტრზე სირბილშიც რომ მიელო მონაწილეობა. წარმოიდგინეთ, მოიგო კიდეც, თანაც საკმაოდ კარგი შედეგით — 20,80 წამით. ამ შედეგით მას დიდი შანსი ექნება, მსოფლიოს ჩემპიონატზე 200-მეტრიანი გარბენის ფინალურ 8 მონაწილეშიც მოხვდეს, იქ კი ვინ იცის, მედლისთვისაც მოახერხოს ბრძოლა, მაგრამ სიგრძეზე მხტომელმა აქედანვე დაანება თავი ერთდროულად ორი კურდღლის დევნას და თქვა, მე სიგრძეზე მხტომელი ვარ და ოსაკაშიც მხოლოდ ჩემს სახეობაში გამოვალ, ხოლო აქ 200 მეტრი მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებისთვის და სახსრების დასამუშავებლად ვირბინეო.

პადუაში წაივარჯიშა კიდევ ერთმა ცნობილმა იტალიელმა მძლეოსანმა ანტონიეტა დი მარტინომ. სიმაღლეზე მხტომელ ანტონიეტას წლეულს 2,03-მეტრიანი სიმაღლე აქვს აღებული და ამ შედეგით ის ელიტარულ მოსიმაღლეთა საკმაოდ მოკლე სიაშია. თუმცა ახლა დი მარტინომ დიდად ვერ გააკვირვა პადუას ტურნირის მცირერიცხოვანი მაყურებელი, სულ რაღაც 1,95 მეტრზე ახტა და ასე დაამთავრა გამოსვლა.

**კოტე ყორშია**

# ამერიკელი ბელგიაში დაფუძნდა

**ამერიკელ** საშუალო დისტანციებზე მორბენალ ალან ვებს ბელგია ლამის მეორე სამშობლოდ ექცა — ამ წყნარ და უშფოთველ ქვეყანაში უშფოთველადვე ვარჯიშობს და იქვე აჩვენებს გადასარევ შედეგებს. სულ ახლახან იყო, ვებმა ერთ მომცრო სტადიონზე ერთმილიანი (1,6 კილომეტრი) გარბენი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სარეკორდო შედეგით რომ მოიგო. მართალია, მილზე სირბილი არაა შეტანილი დიდი ტურნირების პროგრამაში, მაგრამ ეს წმინდა ამერიკული სახეობა შეესატყვისება პოპულარულ 1500 მეტრზე სირბილს და ვები ეცდება, ამ სახეობაში აიცალოს მედალი კილომეტრნახევრიანი დისტანციის ჩრდილოაფრიკელ „შეიხებს“.

ვები ალბათ ორ სახეობაში გამოვა ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე. ცხადია, ერთი 1500 მეტრია, მეორე კი 800 მეტრი იქნება. სულ ახლახან ამერიკელმა ისევ ბელგიაში, ქალაქ ჰიუზდენ-ზოლდენში ეს დისტანცია 1 წუთსა და 43,84 წამში დაფარა და სეზონის რეკორდიც გაითავისა.

საზოგადოდ გარბენი ძალიან სწრაფი და საინტერესო გამოვიდა. ცნობილ სახეთაგან იქ ვების გარდა სხვებიც შეკრებილიყვნენ და გარბენის დასაწყისი სულაც არ მოასწავებდა ამერიკელის გამარჯვებას. თავიდან კენიელი ნათაშინ რუთი გაიჭრა წინ და ისე გაფრინდა, თითქოს 800 კი არა, წინ 200 მეტრი უდევსო. კენიელმა 500 მეტრი გაძლო, მერე კი ისე მოსწყდა წელ-ფეხი, რომ მოწინავე ჯგუფში ადგილის შენარჩუნებას ვინღა ჩივის, სულ ბოლოში აღმოჩნდა. კენიელის ადგილი მსწრაფლ დაიკავა ვებმა, რომელმაც განსაკუთრებით ბოლო 200 მეტრზე აუჩქარა, მაგრამ მას კანადელი გარი რიდი გამოენთო და ჯოჯოხეთური შეჯიბრი გაუმართა საფინიშო სწორზე. ბოლოს ისევ ალან ვებმა იმარჯვა და რიდს 0,10 წამით შეასწრო ფინიშზე.



ჰიუზდენში სხვა რიგიანი შედეგებიც დაფიქსირდა. სტიპლჩეიზერთა (3 კილომეტრი წინაღობებით) სასეირო შეჯიბრში შვედმა (!) მუსტაფა მუჰამედმა 8.05,75 შედეგით მოიგო და ოსაკასკენაც წარმატების იმედით გაიხედა. გაიბრწყინეს ადგილობრივმა ვარსკვლავებმაც. ქალმა სპრინტერმა ანა გევარტმა 100 მეტრი 11,05 წამში მოიგო, სიმაღლეზე მხტომელმა ტია ელებომ კი 1,95 მეტრითაც იოლად იმარჯვა და რაკი კონკურენტი არ ჰყავდა, ამ სიმაღლეზე შეჩერდა.

**კოტე ყორშია**

## კრივი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვერნონ ფორესტმა წარსული დაიბრუნა

**ვერნონ ფორესტმა** მსაჯების ერთხმოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა კარლოს ბალდომირი და აქამდე ვაკანტური WBC-ს ქამარი მოიპოვა პირველ საშუალო წონაში. ეს ქამარი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ფლოიდ მეივეზერ-უმცროსმა მასზე უარი თქვა, რათა უფრო დაბალ წონაში გადავლის საშუალება მისცემოდა.

საკუთრივ ჯახი საკმაოდ საინტერესო საცქერი გამოდგა — 12 რაუნდის განმავლობაში მაყურებელს ნამდვილად არ მოუწყენია. ფორესტი კი ამ გამარჯვებას თავის სიმაღლეს უნდა უმადლოდეს. ამერიკელი მეტოქეზე 15 სანტიმეტრით მაღალი იყო და ამ უპირატესობას კარგადაც იყენებდა — შორი დისტანციიდან ბრძოლით არგენტინელს ახლოს მისვლის საშუალებას არ აძლევდა, მარცხენა ჯებით კი შეტევაზე დაგეშილ სამხრეთ ამერიკელს კარგად უმკლავდებოდა და კონტრშეტევებზეც უფრო მწარედ ურტყამდა მეტოქეს.

ბალდომირმა მხოლოდ ბრძოლის მიწურულისკენ შეძლო გამოცოცხლება და მეტოქის შევიწროება — ვერნონს განსაკუთრებით მეცხრე რაუნდში გაუჭირდა, როცა არგენტინელის ერთ-ერთი ძლიერი ჰუკის შემდეგ ლამის ნოკდაუნში ჩავარდა. თუმც ამერიკელმა აქ იეშმაკა და მეტოქეს აკრძალულზე ქვემოთ დაარტყა — ამის გამო რეფერიმ იანკი დააჯარიმა და ქულაც აართვა, მაგრამ ამ დავიდარებაში ფორესტმა მოასწრო მდგომარეობიდან გამოსვლა და ბალდომირისთვის მეტი შანსი აღარ მიუცია. სწორედ ამიტომ, არავის გაკვირვებია, როცა სამივე მსაჯმა გამარჯვება ამერიკელს მიაკუთვნა — 118-109, 118-109 და 116-111.

ასე რომ, ორწლიანი იძულებითი შესვენების (ტრავმების გამო) შემდეგ რინგზე დაბრუნებულმა ფორესტმა ჩემპიონის ქამარი შემოირტყა. შეგახსენებთ, რომ ამ მოკრივემ სახელი 2002 წელს შეინ მოსლის ორჯერ დამარცხებით გაითქვა, მაგრამ მისი საქმეები უკანუკან რიკარდო მაიორგასგან ასევე ორჯერ გალახვის შემდეგ წავიდა.

“თითქოს 2002 წელი დაბრუნებულიყოს — ასე ბედნიერად კარგა ხანია თავი არ მიგვრძნია. ბალდომირმა დღევანდელ ბრძოლაში მთელი სული და გული ჩადო და ამის გამო ჩემი გამარჯვება კიდევ უფრო სასიამოვნოა“ — ხარობდა ნამატჩევს ფორესტი.

ბალდომირისთვის კი ეს პირველი ბრძოლა იყო 9 თვის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც არგენტინელი მეივეზერმა დაანოკაუტა. სამხრეთ ამერიკელისთვის ფორესტთან ბრძოლა რენომეს აღდგენის საშუალება იყო, რომელიც მან ვერ გამოიყენა და საეჭვოა, ასეთი შანსი უახლოეს მომავალში კიდევ მიეცეს. სწორედ ამიტომ, ეს მარცხი შეიძლება ბალდომირის კარიერის დასარულიც იყოს — ყოველ შემთხვევაში, თავად არგენტინელმა თქვა, რომ უკვე სერიოზულად ფიქრობს რინგის მიტოვებას.

**კახა ლომჯაშვილი**

## ხელბურთი

# პრეზიდენტი გადადგა

გუშინ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომაზე ასოციაციის პრეზიდენტმა მამუკა სხიერელმა თავისი გადადგომის შესახებ განაცხადა.

ამასთან დაკავშირებით, რაკი მამუკა სხიერელის უფლებამოსილების ვადა გასრულებული არაა, ასოციაციის პრეზიდიუმმა დაადგინა რიგგარეშე ყრილობის მოწვევა, რომელზეც ახალ პრეზიდენტს აირჩევენ.

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები ამა წლის 12 სექტემბერს გაიმართება.

პრეზიდენტობის მსურველებმა ასოციაციაში განაცხადი 12 აგვისტოს 17 საათამდე უნდა წარადგინონ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ჯამაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, პაატა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ურიხთავა, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge